სახალხო გაზეთი

№ 704 შაბათი, 22 სექტემბერი 1912 წ. № 704

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ზის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადი მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისოვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29.

გაზეთის ფასი წლიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

კანტორისაგან

1912 წ. პრემია **„გრდემლის“ მისაღებად** უკანასკნელი ვადა არის მომავალ წლის 1 იანვარი, ამიტომ ვთხოვთ ყველას, ვისაც პრემია ერგება, ამ ვადამდე უსათუოდ მოიკითხონ, რადგანაც 1 იანვრის შემდეგ პრემია აღარ შეენახებათ და ყოველნაირი მიწერ-მოწერაც მიმდინარე წლის პრემიის შესახებ **უყურადღებოდ იქნება დატოვებული.**

სახალხო გაზეთი სურათებიანი დამატებით

მიიღება ხელის მოწერა

1912 წლისათვის.

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე, უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

წლიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.
1 ღვინობისთვიდგან წლის დამლევამდე ღირს 3 მ. და 50 კ.
თვეში ღირს — — 75 კაპ.

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარეთ).
საზღვარ-გარეთ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

წლიურ ხელის მომწერთ (რომელთაც პრემია „გრდემლი“ ერგებათ) 8 მან. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მ., 1 მარტისათვის 5 მან., 1 მაისისათვის 7 მ. და დანარჩენი უნდა გადახდილი იყოს **1-ლ ივლისამდე.**

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.

გაზეთს, ფულის მიღების უფლებით, არსად არავითარი აგენტი არა ჰყავს (გარდა წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის ტფილისის წიგნის მაღაზიისა) და ამიტომ პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფული ან ფოსტით არის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაშია მიღებული.

რედაქცია დაუბეჭდავ ნაწერების შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდ საპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს. დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რაიმე ცნობის შესახებ საპასუხოდ საჭიროა **ფოსტის მარკა.**

დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სათაურში.

კვირას, 23 სექტემბერს, დიდუბის ეკლესიაში, გარდახდილ იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი განსვენებულ მასწავლებლის

ეგნატე მაკარის ძის ხრამელაშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავებსა და ნაცნობებს ქვრივი გარდაცვალებულისა **დარია გიორგის ასული,** დაი გარდაცვალებულისა **სოფიო მაკარის ასული ხუციშვილისა,** ცოლის ძმა ექიმი **ნ. მრევლიშვილი** და სიძე **გიორგი აბრამის ძე ხუციშვილი.** წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, ხოლო პანაშვიდი 12 საათზე.

(2—1522—1)

კვირას, 23 სექტემბერს, დილის 10 საათზე საფიჩხიის ეკლესიაში დანიშნულია ორმოცის წირვა და პანაშვიდი განსვენებულ

კოტე ბაქრაძის

სულის მოსახსენებლად, რასაც ნათესავთა და ნაცნობთ აუწყებს განსვენებულის და, **დიმ ტრ ბაქრაძის ასული, ანასტასია.**

(1—1520—1)

---

23 სექტემბერს, სოფ. ზემო-აკეთის საგვარეულო ეკლესიაში

აზნ. ასალო ქაიხოსროს ძე გელაშის

გარდაცვალების წლის თავზე გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი მისი სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავებსა და ნაცნობებს განსვენებულის ქვრივი **სედიკო,** შვილი **ბეგლარ,** რძალი **პისტი,** ძმები: **როსტომ და ყარამან, დები და სიდედრი ნინო.**

(2—685—1)

ტელეფ. № 795. ქართული თეატრი **ტელეფ. № 795.**

კვირას, 23 სექტემბერს 1912 წ. ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ **ვლად. ალექსი-მესხიშვილის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

გამცემი

დრამა 4 მოქ. ი. გედევანიშვილისა.

მონაწილეობას ღებულობენ: ქ-ბნი კოგოლაშვილი, ქიქოძე, ე. ჩერქეზიშვილი, ჯავახიშვილი.-ქ-ნნი: ალექსი-მესხიშვილი, ზარდალიშვილი, მატარაძე, მგალობლიშვილი, ციცი შვილი. **დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ადგილების ფასი ჩვეულებრივია.** თეატრის დირექცია დაბეჯითებით სთხოვს ბ. მაყურებელთ ფარდის ახდამდე დასხდნენ თავიანთ ადგილზე, რადგანაც ფარდის ახდის შემდეგ დარბაზში არავის შეუშვებენ.

რეჟისორი **ვლ. ალექსი-მესხიშვილი.**
ქართ. დრამატ. საზოგად. ადმინისტრაცია. (2.1519.1)

ახალი კლუბი
(საზაფხულო შენობა)
შაბათს, 22 ენკენისთვეს, 1912 წ.

საოჯახო საღამო

თეატრის სცენაზე გამართავს სეანსებს გამოჩენილი კაპიტანი გრებლი— „კაცი—თევზი“. სეანსის შემდეგ ცეკვა
ფასი თეატრის ბილეთებისა 75 კაპ.—20 კაპეიკამდე. კლუბში შესასვლელს სტუმრები იხდიან: მამაკაცები—1 მან. მანდილოსნები—50 კაპ. სტუდენტები—25 კაპ.

(2—1463—2)

კ. ი. ზუბალაშვილის სახ. ქალაქის სახალხო სახლი.

კვირას, 23 ენკენისთვეს 1912 წ. სახ. სახლ. არსებული ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველ წრის მიერ წარმოდგენილი იქნება ლ. ანდრეევის ცნობილი დრამა

„დღენი ჩვენი ცხოვრებისა“

(სტუდენტის სიყვარული) დრ. 4 მოქ. თარგმანი დ. ელიოზიშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ო. ანტუნეტა, მარ. გოგოლაშვილი, ა. კახელი **პიერეტტა,** ბ. ტანელი, ფეიქრიშვილი, ელ. ციმაკურიძე. ბ.ბ. გ. ანაშვილი, არშაკუნი, დ. ზაქრაძე, ბიაშვილი, ნ. გოცირიძე, ალ. მეტრეველი, ვ. მინდიაშვილი, ს. რომანიშვილი, გ. სვანელი, რ. სალაყაია, გ. ფრონის-პირელი, ყარსიმაშვილი, ნ. ქანქვატაძე, მ. ჭიაურელი, კ. ხახანაშვილი.

ადგილების ფასი 5 კ.—50 კ. **დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**
შემდეგი წარმოდგენა 28 ენკენისთვეს. **რეჟისორი ალ წუწუნავა.**
გამგეობის მორიგი წევრი გ. აბელოვი. 3—14499—2)

კ. ი. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

კვირას, 23 ენკენისთვეს მსახიობ **ნიკო გოცირიძის** თაოსნობით გაიმართება

სალიტერატურო-სამუსიკო დილა.

სამ განყოფილებად.

I. **ილია ნაკაშიძის ლექცია:** „ცოლ-ქმრული სიყვარული“.

II. **სალიტერატურო განყ.**—ში მონაწილეობენ ქართ. მწერლები: ი. ევდოშვილი, ი. ეკალაძე, ირეთელი, ქუჩიშვილი, ი. გრიშაშვილი, ახოსპირელი და ცნობილი **მსახიობნი:** ქ. ნ. დავითაშვილი, ბ.ბ. ვლ. შალიკაშვილი, ზარდალიშვილი, ნიკო გოცირიძე და სხ.

III. **საკონცერტო განყ.—ში: ძმ. კავსაძენი. ქ-ნი გერმუტ-მახვილაძისა,** ა. ა. ნემეტტისა; ბ. ბ. პ. ფალიაშვილი, ჩუბინაშვილი, კვერკველაძე, რატიშვილი და სხვანი დაწვრილებით პროგრამაში. დასაწყისი შუადღის 12 საათზედ.

გამგენი: **ი. გრიშაშვილი. გ. ნ. სალარიძე.**

(2.1517.1)

გაზეთ **თემი**-ს რედაქცია და კანტორა გადავიდა ოლღას ქუჩაზე, სახლი დიასამიძისა, № 4.

(5—1521—1)

სასტუმრო „უნივერსალი“

(ძველად „მუხრანის ნომრები“) **ტფილისში, გოლოვინის პროს.** სახელმწიფოს და კერძო დაწესებულებათა შუაგულში; ნომრები ახლადაა გადაკეთებული მშვენივრად; დიდად სახერხოა ცოლშვილიანებისათვის. ფაქიზი სისუფთავე, ზრდილობიანი და სხარტი მოსამსახურენი. როგორც კაცები ისე ქალები; ელექტრონული განათება, ცხელი და ცივი ვანები. გვაქვს ორ-ორი და სამ-სამი ოთახი, ფანჯრები და აივანებიც ქუჩის მხარეს აქვთ. ნომერი 80 კ.—5 მანეთამდე ღირს დღე-ღამეში, თვიურად 15 მან. 80 მანეთამდე. თვიურ მდგმურებს დიდ შეღავათს ვაძლევთ ქირაში. **ტელეფ. № 499.**

(25.1481.12

მიიღება ხელის მოწერა

„მოლიპულ გზაზე“ ანასტასია ერისთავ-ხოშტარიასი.

(**რომანი**)

600 გვერდამდე კარგ ქაღალდზე დაბეჭდილი წიგნი ხელის მოწერით ღირება, მხოლოდ **ერთი მანეთი,** შემდეგ კი ფასი ერთი-ორად იქნება გადიდებული. შეიძლება დაკვეთა: ტფილისში—ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში; ქუთაისში—კანტორა „იმერეთში“ და თ. მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში; გორში—გაზეთ **„ქართლის“** კანტორაში და ი. კვალიაშვილის აფთიაქში. აგრეთვე კანტ. „იმერეთის“ ყველა პროვინციელ აგენტებთან და ქართულ წიგნების გამავრცელებელ ი. კერესელიძესთან. **ადრესი:** Гори, Анастасiи Хоштарiя. (ამ შემთხვევაში ფულის გამოგზავნის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია).

(25—456—26)

ღარიბ-მოწაფეთა დამხმარი ტფ. გუბერნიის თ.-აზნაურთა საზოგადოების
გამგე კომიტეტი

ამით აცხადებს, საზოგადოების წევრთა კრება, ნაცვლად იმ წლიურ კრების, რომელიც არ შესდგა ამა წლის 24-ს თიბათვეს, არის დანიშნული **23 ამა თვის დილის 11 ს.,** სათავად-აზნაურო გიმნაზიის სადგომში. განსახილველია: 1) ანგარიში 1911 წ. საზოგადოების მოქმედების შესახებ, 2) მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა, 3) საოჯახო და სამოსწავლო კითხვები 4) მოხსენება გამგე კომიტეტისა წესდების ამა თუ იმ მუხლის შეცვლის შესახებ. 5) ინსტრუქციის გადასინჯვა და ამორჩევა იმ წევრებისა, რომელნიც თავს ანებებენ თავიანთ თანამდებობას ვადის გასვლამდე.

(3.1494.2)

სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების გამო

ქ. თელავის მამასახლისი მ. ი. თათუზოვი აცხადებს საყოველთაოდ, რომ თელავის **ამომრჩეველთა კრება** მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებისთვის **დანიშნულია 3-სა ოქტომბერს** ამა 1912 წელსა.

არჩევნები მოხდება თელავის მომრიგებელ განყოფილების შენობაში და დაიწყება დილის ცხრა საათიდან.

ამომრჩეველნი შეიშვებიან ამომრჩეველ კომისიის დარბაზში მხოლოდ საღამოს ცხრა საათამდე. ამომრჩევლებს, რომლებიც სცხოვრობენ ქ. თელავში, წინადვე პოლიციით მუქთად გაეგზავნებათ თელავის სამოქალაქო სამმართველოდან სახელობითი უწყებები, ორ ორი კონვერტი თელავის ქალაქის მამასახლისის ბეჭდით (ერთი დამატებითი არჩევნების შემთხვევისათვის) და ფურცელი რწმუნებულთა ამოსარჩევ ბარათისა; იმ ამომრჩეველთ კი, რომლებიც სცხოვრობენ თელავის მაზრაში, შეუძლიანთ წინადვე მუქთად მიიღონ ეს უწყებები, კონვერტები და ბარათები თელავის სამოქალაქო სამართველოში, რომლისათვისაც საჭიროა წარმოადგინონ თავიანთ ვინაობის კანონიერი მოწმობა. დაკარგულ ანუ გაფუჭებულ კონვერტების სამაგიეროდ, რომელიც მიღებული ექნებათ თელავის სამმართველოსაგან, ამომრჩეველთ შეუძლიანთ წინადვე მუქთად ხელახლად მიიღონ ეს კონვერტები სამოქალაქო სამმართველოსაგან; არჩევნების დღეს კი შეუძლიანთ მიიღონ საარჩევნო კომისიის დარბაზში შესვლის დროს.

საზოგადოდ იმ ამომრჩევლებს, რომლებსაც რაიმე მიზეზით არ მიუვათ სახელობითი უწყება და კონვერტები, შეუძლიანთ მიიღონ ეს უწყება და კონვერტები სამოქალაქო სამართველოში, რომლისათვისაც საჭირო იქნება წარმოადგინონ თავიანთი ვინაობის კანონიერი მოწმობა. ვისაც სახელობითი უწყება და ზემოხსენებული კონვერტი არ ექმნება, არავინ არ შეიშვება საარჩევნო კომისიის დარბაზში.

(1—1516—1)

შეიძლება დაკვეთა:

ილია ჭავჭავაძის თხზულებანი

ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა **ლექსი და ბელეტრისტული ნაწარმოები,** (აგრეთვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto.

ფასი 8 მანეთი, რომლის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად; 3 მან. ხელის მოწერისთანავე, 3 მ. ენკენისთვეში და 2 მ. გიორგობისთვეში. ვინც 100 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს, 10% დაეთმობა, გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნები დაურიგდებათ 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორღანოვის ქუჩა, № 20, **ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან; და წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში.**

ტფილისში აგენტად დანიშნულია ნიკოლოზ ლონგინოზის ძე კავსაძე.
ქუთაისში—წ. კ. ს. მდივან იასონ ბაქრაძესთან და იოსებ ოცხელთან.

ფოთში—იონა მეუნარგიასთან.
სამტრედიაში—ბ. ა. სტურუასთან.
სიღნაღში—ექ. ჯანდიერთან.
სოხუმში—ნიკო თავდგირიძესთან.
ჭიათურაში—წ. კ. გ. ს. ირ. დეკანოზიშვილთან.
თელავში—თამარ აბაშიძესთან.
ხონში—ეფროსინე ჭიჭინაძესთან.
ბაქოში—ილია აგლაძესთან.
ოზურგეთში—ექ. დიმ. ერისთავთან.
ერევანში—ელენე ვირსალაძესთან

ბათომში—ს. მდივანთან. კავკავში—სოფიო კალანდარაშვილთან. გორში—ნიკო ლომაურთან. ახალციხეში—როზალია ბელელიშვილთან ვინც წიგნის დასაკვეთად ფულს ფოსტით თვით გამომცემლის სახელზე გზანის, მისთვის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია. (3—153—3)

ტფილისის ქალაქის გამგეობა

იწვევს მსურველთ, ვინც იკისრებს 1913 წ. ქალაქის დაწესებულებათათვის

აძლიოს

1) მაზუთი	142000	ფუთი.
2) მსუბუქი ნავთი, დიზელის მამოძრავებელთათვის	15,000	ფ.
3) დაუმუშავებელი ნავთი	5000	ფ.
4) ნავთი	8000	ფ.
5) ბენზინი	400	ფ.
6) ზეთი ცილინდრ. მიტრებისა	4000	ფ.
7) ზეთი მადნეულისა	825	ფ.
8) ქონი მინერალური	140	ფ.

ხელშეკრულობის პროექტებისა, პირობებისა და აუცილებელ ცნობათა გაგება შეიძლება ქალაქის გამგეობის ნივთიერ განყოფილებაში დილის 10—3 საათამდე.

განცხადებანი უნდა ჩააგდონ საგანგებო ყუთში, რომელიც გამგეობის განყოფილებასთან არის ჩამოკიდული.

განცხადებათა წარდგენის ვადა ოქტომბრის ხუთსა.

(3.1515.2)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ძსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო
ტელეფონი № 590.
სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ დროს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

შინაგანი ავადმყოფობანი	**ლამბაშიძე გ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ. **დავითიანი რ. ხ.** (ყოველ დღე) 1—2. **ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10. **მაღალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
სადოსტაქრო ავ. (ქირურგიული)	**მარკევიჩი გ. ლ.** კონსულტანტი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.
საშობიარო ქალ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1. **თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.
ბავშვების ავადმყოფ.	**ლამბაშიძე გ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 12½—12 ს. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. წამლ. ელექ.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. **დავითიანი რ. ხ.** (ყოველ დღე) 1—2.
ყურ. ყელ. და ცხვ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2. **ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3.
თვალის ავ.	**მუსხელიშვილი გ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენ. ავ.	**მჭარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათამანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; **„606“ წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (5. 1010 112)

ფეხსაცმელები

თომა დ. ჯანყარაშვილის
მაღაზია-სახელოსნოში.

მუხრანის ქ. № 2. ყოველნაირი: საკუთ. და პეტერბ. მეხანიკ. ნაწარმოები.



(25.683.3)

ექიმი ზ. ა. მიქელაძე
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., № 6.

ელექტრონისა და რენტგენის
სამკურნალო

მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20.

(წ.—1022—97)

დოქტორი მედიცინისა ბერლ. უნივერს.

გ. გ. მეგრაბიანცი

დაბრუნდა და კვლავ განაგრძობს ავადმყ. მიღებას. შინაგ. ავადმყ., ავადმყოფობ. ფილტვ.—ტუბერკულ. და გულისა. იღებს ყ.—დღ. დილის 9—12 ს. და საღ. 5—7 საათ. ადრესი: ფრანგ.ბ. ქ., № 10, ტელეფ. 7—94.

(25.1497.10)

საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიათ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № ჩ, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათ ან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა.

(წ. 1020 381)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9¹/₂ ს. 10 ს,

ა. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

გ. ა. ბოპოთვი ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11¹/₂.

შ. ა. მიქელაძე შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური. ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით,

წამლობა „606“-

(წლ—1018—57).

ექიმი პ. არდაზიანი შინაგან და ბავშვებ. ავადმყ. (სპეციალ. ფილტვებ. სნეულ. რევმატიზმი-ქარები) ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. 11—2 ს. საღამ. 5—7. (25.1045.199).

ექიმ ი. ე. ჯაშის კაბინეთი ამბულატორიით. მიიღებს შინაგ., დედ. და სადოსტაქრ. ავადმყ. დილ. 8—11 ს. და საღ. 5—8 ს. დიდვანქის ქ., № 6. წინანდელი სადეპეშო კანტორა. (25.1480.13)

ექიმი ქალი დ. გ. საყვარელიძე. იღებს ავადმყოფებს ქალისა და საბებიო. ნაშუადღ. 1—2 ს., საღამოს 5 6 საათამდე. კიროჩნის ქუჩა, № 9. (25.595.26)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 8, ს. გაბაშვილისა.

ექიმი ს. ი. გძელიშვილი შიგნეულობისა და ვენერიულ ავადმყ. დილ. 9—11 საათ., საღ. 6—8 საათ. დიდუბე, საგურამოს ქ., (მუშტაიდის ბაღის შუაგულიდგან მარჯვნივ), № 21, ხრამელაშვილის სახლი. დღისით: 2—4 საათამდე. ბარონისისა და ბაზრის ქუჩის კუთხე, № 14. (0—1411—51)

ექიმი ალ. სოლოღაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 5—4 საათ. გოლოვინის პრ. № 12. (თ.1334.16)

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლგას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა

კბილის ექიმი მამულაიშვილი-ხოდნევისა

წამლობა, პლომბის გაკეთება ფაიფურით და ოქროთი. კბილის ამოღება უტკივილოდ ოქროს „კორონკები“ და „ვსტავკები“ (ახალი სისტემის პლომბი, რომელიც არ იშლება და არ ვარდება). ბრუნდი კბილების გასწორება. მიღება დილით 8—2 საათამდე, საღამოთი 5—7 საათამდე. ოლღას ქუჩა № 20, ბინა—5. (25—1504—6)

ექიმი ი. ი. ბერიშვილი სწამლობს საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ.; ვასსერმანის რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიიღება ნაშუადღ. 3—5¹/₂ ს. ელიზაბედ. ქ., № 94, საფოსტოს განყოფ. პირდაპირ. (25—1173—121)

ტფილისი. 22 სექტემბერი

საქალაქო არჩევნები გორში.

სათათბიროს არჩევნებით გატაცებულ ქართველ ფართო საზოგადოებას როგორღაც მხედველობიდან გამოეპარა, რომ ახლო მომავალში დანიშნულია საქალაქო არჩევნები გორში. მაგრამ თვით გორელები, როგორც გაზეთ „ქართლში“ დაბეჭდილ წერილებიდანა სჩანს, დიდს ყურადღებას აქცევენ ამ არჩევნებს. იმართება წინასწარი კრებები, ახასიათებენ თვითეულ კანდიდატს და სხვა. ინტერესი საფუძველს არ არის მოკლებული. გორი მთელი ქართლის დედა-ქალაქია. გორის მაზრის ძაფები გორშია მოგროვილი. თანდათან, რამდენადაც გორის მაზრა ეკონომიურად წინ წაიწევს, ქალაქ გორის მნიშვნელობაც გაიზრდება. ამიტომ მართალნი არიან გორელები, როდესაც მომავალ არჩევნებს ყურადღებით ეკიდებიან და სცდილობენ ქალაქის ბედ-იღბალი სასარგებლო და ღირსეულ პირს ჩააბარონ.

დასახელებულ კანდიდატების ავკარგიანობის გამორკვევას არ შევუდგებით. მხოლოდ არ შეგვიძლიან ერთი რამ არ გავახსენოთ გორელებს. თუმცა საქალაქო არჩევნები ადგილობრივი საქმეა და უპირველესად ყოვლისა თვით გორელები არიან დაინტერესებულნი, მაგრამ მას ცოტაოდნად საზოგადო მნიშვნელობაცა აქვს. გორის მოურავად არჩეულ უნდა იქმნას ისეთი ადამიანი, რომელიც ადგილობრივ ვიწრო ინტერესების ფარგლებში კი არ ამოიხშობს სულს, არამედ რომლის მოქმედებაც შეხმატკბილებული იქნება საქართველოს სხვა და სხვა კუთხეთა **საერთო** სულის ზრახვასთან. ადგილობრივ საქმეებში გართული ამასთანავე ერთად სულიერად უნდა იყოს დაკავშირებული მთელ საქართველოსთან და ჰგრძნობდეს, რომ თავისი პატარა, მაგრამ ფრიად სასარგებლო მოღვაწეობით აკეთებს საქმეს, რომელსაც მთელი თავისი გატაცებით ემსახურება დანარჩენი საქართველო. მოურავად უნდა აირჩიონ ისეთი ადამიანი, რომლის მოქმედებაც უხილავის ძაფებით იქნება გადაბმული სხვა ნაწილებში ამნაირადვე მომქმედ ადამიანებთან. მხოლოდ ასეთი მოღვაწეობა ჰქმნის მოქმედების მთლიანობას.

ამიტომ გორის მოურავადაც უნდა დაასახელოთ ისეთი **ქართველი** ადამიანი, რომელიც შესისხლხორცებულია ჩვენს **საერთო** ცხოვრებასთან, იცის მისი ჭირ ვარამი, იცის ისიც, თუ რანაირი უნდა იყოს ნამდვილი ქართველი მოღვაწე და რანაირ **საერთო** მიზნისკენ მიიწევს მას მოვალეობა. გორის ქალაქის მოურავად უნდა იყოს ისეთი ადამიანი, რომელშიაც ადგილობრივი და საერთო ინტერესები შეთანხმებულია.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **კავკასიის ნამესტნიკს წარუდგა** 20 სექტემბერს ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსის მოადგილე ინჟენერი ზურაბოვი.

◆ **საქალაქო სამ-მილიონიანი სესხი.** გუშინ, 21 სექტემბერს, ქალაქის გამგეობამ პარიზში ეინარბანკს გაუგზავნა უკანასკნელ სამ. მილიონ საქალაქო სესხის სარგებელი 101, 146 მან. 40 კ.

◆ **სენატორს ნიკოლსკის გუშინ წარუდგა** ქალაქის მოურავი ა. ი. ხატისოვი.

◆ **კავკასიის ნამესტნიკს** გუშინ წარუდგა კავკასიის ქალაქების წარმომადგენელთა კრების თავჯდომარე ა. ი. ხატისოვი და მიართვა მშვენიერ ყდაში ჩასმული წიგნი „კავკასიის ქალაქების წარმომადგენელთა კრების შრომა.“.

◆ **ქუთაისის ქალაქის მოურავი** ი. ჩიქოვანი ტფილისში ჩამოვიდა.

◆ **მიწათ-მოწყობის კანონ-პროექტები.** დღეიდან სენატორ ნიკოლსკის თავჯდომარეობით ტფილისში დაიწყება საუწყებათაშორისო თათბირის კრებები კავკასიის მცხოვრებთა მიწათ-მოწყობის კანონ-პროექტების განსახილველად.

◆ **ტფ. გუბერნატორი** გორის მაზრიდან ტფილისს დაბრუნდა.

◆ **ქუთაისის გუბერნატორი** გენ. ა. ი. სლავოჩინსკი ტფილისში ჩამოვიდა.

◆ **წესიერ დასვენების** ახალ დადგენილებათა გადასასინჯველად დღეს კრება მოხდება ქალაქის საბჭოს მიერ არჩეულ კომისიისა.

◆ **რეფერატი.** დღეს საზოგადო კლუბში. (აბას-აბადის ქ., 7) თავ. გ. მ. თუმანოვი რეფერატს წაიკითხავს შემდეგს თემაზე: „ჩვენი კანონმდებლობა უკანასკნელ წლებში.“

◆ **თავის მოკვლის განზრახვით** 20 სექტემბერს საღამოს 8 საათზე, მაძებარ პოლიციის აივანზე რევოლვერი დაირტყა იქვე მოსამსახურე პოლიციელმა ივანე გილიარის ძე ბილინსკიმ და მარცხენა ფერდში საშიშად დაიჭრა. ბილინსკი მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

◆ **შეიპყრეს** სიღნაღის მაზრის სოფელ საქობოს მცხოვრები სტეფანე ქიტესას ძე ჯიბგირაშვილი, რომელიც ჯიბგირად არის ცნობილი და არა ერთხელ გაუსამართლებიათ „პორტმანის დაგდებისა“ და სხვა და სხვა ქურდობისათვის. იგი ბოლო ხანს გადასახლებული იყო გორში, საიდანაც ტფილისში ნებადაურთველად დაბრუნდა.

◆ **სენატორ მაკაროვის განკარგულებით** ტფილისში იგზავნება შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაში მყოფი საგანგებო საქმეთა მოხელე ნად. სოვ. ბონდარი, რომელმაც ყოველ მხრივ უნდა გამოიკვლიოს „სექტები“: ხლისტებისა, შალოპუტებისა, დუხობორებისა, ახალი იზრაილისა, შაბათლებისა და სხვა.

◆ **ტფ. გუბერნატორმა** სახალხო გასართობების ტფ. საზოგადოების კომიტეტის თავმჯდომარეს ნება დართო, მოაწყოს 24 სექტემბერს და 1 ოქტომბერს სახალხო სეირნობა „ფიქრის გორაზე“.

◆ ტფ. გუბერნატორმა ნოტარიუსს ბუბუდუგოვს **ნება დართო** მოაწყოს ქ. ახალციხეში სეირნობა, რომლის შემოსავალიც გადაიდება ქ. ახალციხეში პროგიმნაზიისათვის შენობის ასაგებად.

◆ ტფ. გუბერნატორმა დააჯარიმა: სახლის პატრონი ბაირამოვი, მდგმურის ჩაუწერლობის გამო—25 მანეთით, ავტომობილის № 5 შოფერი ბულიგინი სისწრაფისათვის—25 მან., მეეტლეები № № 9 სარქისოვი, 102—კარმოევი, 269—დავიდოვი, 446—კაიფადიანცი, 15—ჩერნიშოვი, უმოწმოდ ბირჟაზე გამოსვლისათვის ხუთ-ხუთი მანეთით.

◆ **სახელმწიფო არჩევნების საქმეთა** ბორჩალოს სამაზრო კომისიამ 20 სექტემბერს განიხილა, არჩევნების საქმის წარმოება სოფლის რწმუნებულების არჩევნებისა და სხვა და სხვა მიზეზებისა გამო უკანონოდ იცნო. ამიტომ დაადგინა: არჩევნები შურლავერის, გეურარის, კაჩაგანის, ალავერდის, სადახლოს, სარჩაპეტის, უზუნლიარის, აკამაკის, კურტნის, კიზილ-აჯლოის, ბარმაკსიზის, ფახრალოის, ამამლოის, გომარეთის, გუნიავალოის, კამარლიუსი, ბაშკოვის და ტირიხის საზოგადოების უკანონოდ სცნოს და გააბათილოს.

◆ 20 სექტემბერს **მოხდა წინასწარი კრებები** წვრილ მემამულეთა, რომლებზედაც უნდა აერჩიათ რწმუნებულები სამაზრო არჩევნებში დასასწრებლად. ახალქალაქის მაზრის კრებას დაესწრო ექვსი კაცი; ყუთის დადგმის მსურველი არ აღმოჩნდა; ბორჩალოს მაზრაში—გამოცხადდა ხუთი კაცი; აირჩიეს ორი რწმუნებული, ორივე აზნაურია. სიღნაღისაში—გამოცხადდა 18 მემამულე, არჩეულ იქმნა სამი რწმუნებული: სამღვდელო პირი, ექიმი და სოფლის მამასახლისი. თელავისაში—3359 მეურნესაგან გამოცხადდა 21 კაცი; არჩეულ იქმნა ორი რწმუნებული: აზნაური სოფ. რუისისი—ლუარსაბ ნიკოლოზის ძე ანდრონიკაშვილი და პრაპორჩიკი თავ. გიორგი რომანოზის ძე ქავჭავაძე. თიანეთისაში — გამოცხადდა სულ 4 მეურნე, რომელნიც იხდიან საერობო გადასახადს სულ 30 მანეთს, ამიტომ არჩევნები არ მოხდა. ახალციხისა და ტფილისის მაზრებში არჩევნები არ მოხდა, რადგანაც არავინ არ გამოცხადდა.

◆ 16 სექტემბერს მოხდა **არჩევნები ქარხნებში მომუშავეთა რწმუნებულებისა.** შედეგი ასეთია: ადელხანოვის ქერების ქარხანაში არჩეულ იქმნა—იოსებ დიმიტრის ძე ელისაშვილი, ტფილ. მაზრის, სოფ. გოლოვანის მცხოვრები, მართლმადიდებელი, 26 წლისა. ადელხანოვის ტყავეულობის ქარხნიდან—არტემ ოჰანესის ძე არუთინოვი, სომეხი, ტფ. მოქალაქე, 64 წლისა. ადელხანოვის ფეხსაცმელების ქარხნიდან—გრიგოლ დავითის ძე ნოზაძე, გლეხი, მართლმად.—58 წლისა; იაროსლავის და კომპ. თუჯისა და მექ. ქარხნიდან—პეტრე თედორეს ძე მუჟიჩენკო, ტფ. მოქალაქე, 28 წლისა. გაუფის მექანიკურ ქარხნიდან—ხარლამპი მილშინი, 36 წლ. მართლ. ტფ. ტრამვაის სამექანიკო განყოფილებიდან—ნიკოლოზ სოფრომის ძე პირლაუ, აზნ., 35 წ.; სეილანოვების თამბაქოს ქარხნიდან — კარაპეტ მელქოს ძე ბაჯიაშვილი, ტფ. მოქ. 44 წლისა; ბოზარჯიანცის თამბაქოს ქარხნიდან—ედუარდ თედორეს ძე ფედოროვი მოქალაქე, 26 წლისა. ენფიანჯიანცის თამბაქოს ქარხნიდან—სტეფანე ისრაელოვი, მდაბიო მოქალაქე 74 წლისა, ჯაბადარი და ამხ. სტამბიდან—ბაგრატ ბადალის ძე მიკირტუმოვი, ფოტოგრაფ-ცინკოგრაფი, 40 წ.; თამბაქოს ქარხნის სააქციონერო საზოგადოებას „მირი“-ს გამგეობამ ტფ. გუბერნიის ქარხნების ინსპექტორს აცნობა, რომ მიუხედავად 5 სექტემბერს გამოკრულ განცხადებისა, რათა ქარხნიდან ერთი რწმუნებული იქმნეს არჩეული, სახელმწიფო სათათბიროს წევრის ასარჩევად, არჩევნები მუშებს ჯერაც არ მოხდენიათ, თუმცა განკარგულება ხელ-მეორედ გამოუცხადეს.

◆ 20 სექტემბერს ტფილისში 13 უპასპორტო შეიპყრეს.

საზოგადოებანი და კრებები

◆ **ქალაქის საბჭოს** მორიგი კრება ორშაბათს, 24 სექტემბერს მოხდება. სხვათა შორის, განხილულ იქნება: 1) გამგეობის მოხსენება ქალაქის ლომბარდისთვის მიწის ყიდვის შესახებ, 2) ქალაქის ლომბარდის 1913 წლის ხარჯთ-აღრიცხვა, 3) შუამდგომლობა სომხურ სამეურნეო საზოგადოებისა, რომელიც ქალაქისაგან ავლაბარში იჯარით მიწასა თხოულობს, 4) საკითხი ტურკოვსკისაგან ვერის საქალაქო პარკის გასაფართოვებლად მიწის შეძენის შესახებ, და 5) საკითხი ქალაქის გამგეობ[illegible]ბობის დაარსების შესახებ.

◆ დღეს, 22 სექტემბერს, საღამოს 8 საათზე, გეოგრაფიულ საზოგადოების ბინაზე, მოხდება კრება მოსკოვის არხეოლოგიურ საზოგადოების კავკასიის განყოფილებისა, რომელზედაც მოხსენებას წაიკითხავენ: ე. ს. თაყაიშვილი — „წელს ბორჯომის ხეობაში არხეოლოგიურ მუშაობის შესახებ“ და ტერ-ავეტისოვი „ახტალის სომხის მონასტერში, არხეოლოგიურ გამოკვლევათა შედეგი“.

◆ დღეს, 22 სექტემბერს, საექიმო სასანიტარო საბჭოს კრება მოხდება. კრებამ უნდა განიხილოს საკითხი, ალექსანდრეს ვენერიულ ავადმყოფობის საავადმყოფოს მოწყობისათვის საჭირო დამატებითი ხარჯთაღრიცხვის შესახებ. საავადმყოფოს გახსნა განზრახულია ოქტომბრის პირველ რიცხვებისთვის.

◆ 20 სექტემბერს შესდგა ტფ. საბირჟო კომიტეტის კრება, რომელსაც ა. ნ. მილოვი თავმჯდომარეობდა. კრებამ განიხილა მოხსენება ბამბის მრეწველთა კრების მოწვევის შესახებ, რომელიც გაიხსნება ტფილისში 1 ნოემბერს. წარმომადგენლებად კრებაზე დასასწრებად ამოირჩიეს კომიტეტის ყველა წევრები და მდივანი რ. ი. ხატისოვი, რომელსაც დაევალა შეადგინოს მოხსენება, სახაზინო მიწის მოსარწყავად იჯარით გაცემის შესახებ (99 წლის ვადით). საფუთო გადასახადი ტფილისში შემოტანილ საქონელზე დაწესდეს: 1 კლას.—³/₄ კაპ., 2 კლ.—¹/₂ კაპ., მე-3 და მე-4 კლას.—¹/₄ კ., მსხვილფეხა საქონელზე 10 კაპ. და წვრილფეხზე 5 კაპ. შემოსავალი ნავარაუდევია 60,000 მან. წელიწადში; სამრეწველო გადასახადის გამნაწილებელ კომისიაში არჩეულ იქმნენ: გ. ი. კრისტალი, გ. ტ. მიკირტუმოვი. სახელმწიფო სათათბიროს წევრთა ამომრჩეველად — ა. ნ. მილოვი.

სასამართლო

◆ **ტფ. ოლქის სასამართლოს სესია** 20 სექტემბერს სიღნაღს გაემგზავრა.

◆ **მილიონერ ტაგიევისა და სხვათა საქმე** ტფ. სამოსამართლო პალატაში 21 სექტემბრისთვის იყო დანიშნული. თვით ტაგიევი სასამართლოში არ გამოცხადებულა. საქმის გარჩევა სასამართლომ შეუძლებლად სცნო უმთავრეს მოწმეთა ახუნდოვისა და სულთანოვის გამოუცხადებლობის გამო და სხვა დროისთვის გადასდო.

გორი

◆ 19 ამ თვეს ბაქოდან გორში მოვიდა ფრანგი ინჟენერი მოსალაპარაკებლად გორში **მილის წყალის** გამოყვანის თაობაზე.

ქართული ლექსიკონი

4.

დავით ჩუბინაშვილი. ქართულ-რუსული ლექსიკონი.

(გაგრძელება. *)

„**თავქვე**, პირქვე, вверхъ дномъ. ქილ. 59“. სულ სხვა მნიშვნელობისაა ეს თავქვე: ქილ. 47: „შიშისაგან თავქვე ერთს ორმოში ჩაიჭრა“; 50: არწივის ქული ბუდიდან გადმოვარდა და თავქვე კლდისაკენ წამოვიდა... ნახა ყორანმა ქული თავქვე მომავალი“. საინგილოშიაც, როგორც აქ, თავქვე ნიშნავს ქვემოთკენ, თავქვემოთკენ. „თავქვე წაუდა“, წავიდა დაბლა, წყლის მდინარების მხრისკენ, ან მაღლობიდამ დაბლა.

პირქვე-კი არც თავქვეობაა და, ხშირად, არც „вверхъ дномъ“-ობა. ადამიანი პირქვე დაეცა. კაი „вверхъ дномъ“-ია, თქვენმა მზემ, ეს პირქვე!

თავნება (გამოტოვებ.), თაოსნობა, საქმის კეთებისა თუ შესრულების უნარი, иниціатоpство, умѣніе взяться за дѣло и завершить его. ასეა საინგ-ში. შეად. ქილ. 167: ვინ იცის, კიდევ რამ **ვათავნო.**

„**თახთახი**, თრთოლა, дрожь“. გამოტოვებულია თახთახა ფერი. მზითვის წიგნი ელენესი 1713 წლ.: „თახთახი დარაია“.

თვალის ახსნაში გამოტოვებულია ბევრნაირი მისი მნიშვნელობა. გულის-თვალი (ქილ. 81), ჭკუის თვალი (ქილ. 581), სიმართლის თვალი (ქილ. 584), მახის თვალი (47), მზის თვალი—ინდოეთის მდინ. სახელია (ქილ. 290), თვალი სულისა око душевное № 38, 124, № 1054, გვ. 147, Бесѣды 141, თვალი გონებისა мысленное око № 86, გვ. 16, თვალი მზისა солнечное око (თვალთაჲ, 46). ლექსიკონში კიდევ: თვალი სარკმლისა,—ფანჯრისა,—დოლაბისა,—ხიდისა,—ურმისა,—წყაროსი,—მარილისა,—სასწვრისა,—სოფლისა, დედისა (საალერსო) და სხ.

თვითება (გამოტოვებ.) წყობ. სიტ.: „თვითებათ წესი: არა ცვალებითა მგები“. № 205, გვ. 219: თვითებანი მამა ღმერთისა: უშობელობაჲ, მშობელობითობაჲ, უმიზეზობაჲ, უწიაღისობაჲ უწიაღოთა წიაღთაჲ, სულის გამომავლობაჲ, ყოვლობაჲ,

იობელი, юбилей. ისო, 5,4: „ნესტვი იობელისა“. რუს. юбилейная труба: ბერძნული ალექსანდრიული: „სალპინგი ტუ იობელ.“ ენციკლ. ლექსიკ.: „Юбилей, annus jubilaeus jubilum-ისაგან, სასიხარულო ხმა, და ეს კი ებრაულ სიტყვისაგან jobel, რქა, ნესტვი, რადგან საიობელო წელიწადს აყვირებდნენ ნესტვს“. მამაპაპათგან გადმოცემულს სწორს **იობელს** ჩვენ კი ვამახინჯებთ „იუბილედ“!!

კაამყოლი (გამოტ.). ქილ. 328: „ნადიმში კაამყოლი“, კაი ამყოლი, ტკბილი მოსაუბრე.

„**კარგი** (სომხ.) კაი, хорошій“. ეს წმინდათ ქართულია: კაი+რიგი, გვარი: კარგა=ინგ. კაჲ-გორა=კაიგვარად, კარგად.

„**კლანჭი,** ჭანგი ოთხფეხთა, когти“. აქ ოთხფეხი მეტია. შეად. ქილ. 50, 263: „არწივის ქულას ჩარბი და კლანჭი“. არწივის ქულა მგონი არა ოთხფეხია!

„**კომენტარი,** განმარტება, ახსნა. ქილ. 569“. ამ ადგილას კი (დაბეჭდ. გვ. 579) სწერია: მეფემ „მსხვერპლის შვილი სამუშაკოთა კომენტარათ და თვის მოსავლის გამგედ დაადგინა“. იქვე სხვა მოხელეების გამწესებაა. კომენტარი აქ არა განმარტება-ახსნაა, არამედ ლათინ. commendare—ხელქვეითების უფროსობა, комендансъ“.

„**კუშტობანის ხე,** მცენ?“ ამის მეტი არ არის. საბას დაუმატებია „პიროდექსიონ“. შატბერდის კრებულის ბერძნულიდამ თარგმნილს სახისმეტყველებაში (გვ. 236) ვკითხულობთ: „არს რაჲმე ნერგი, რომელსა სახელი ჰრქვიან **პირიდექსიონ** რომელი გამოითარგმანების კუშტობინი-ხე, და იპოვების იგი სოფელსა ჰინდოეთისასა, და ხილი მისი ტკბილ არს უფროჲს ყოველთა სიტკბოვებათა, და ტრედნი მივიდიან და დასხდიან ხესა მას ზედა ჭამად ხილისა მის. დაჰმტერავს ხესა მას ზედა გუელი დიდი, რამეთუ აჩრდილსაცა მის ხისასა ივლტინ გუელი იგი; ვიდრე მას ხესა ზედა დამკვიდრებულ არიედ ტრედნი იგი, ვერ შეეხის გუელი იგი ტრედთა მათ და ვერცა აჩრდილსა მისსა მიახლის“...

„**ლაკვა, ლაკვანი,** ნაგები ჯურღმული, колодецъ, имѣющій срубъ“. № 70, გვ. 62: „ვპოვეთ ქუაბთა შინა და ლაკვათა ორმოთა შინა“. ესრევე იხმარება საინგილოში: **ლაკო,** მცირე ორმო, ცვარ-წყალის საგუბნად, დასაგუბებლად. ლაკოებს ტყეებში აკეთებენ ნადირის შემოსაჩვევად და მოსანადირებლად. ეს ლაკვა გაბედულად შეგვიძლია დავუნათესავოთ ლათინ. **ლაკ,** ტბა. მაგრამ ესეც კია, რომ ლაკვა, ხშირად, არც მარის цистерна-ა და არც წყალ-საგუბენი ფოსო, არამედ ფართო და განიერი ორმო—ღვიმე. ქართლ. ცხოვ. 155. შიო ცხოვრობდა “ლაკვასა, მღვიმესა ბნელსა, კაცთაგან მიუვალსა“. „Цистерна“-ში როგორ იცხოვრებდა!

„**მაბეზღარი,** შემასმენელი, обвинитель. უკანასკნელი ნახმარია доносчикъ-ის მაგიერ, ალბად, შეცდომით. ქილ. 177: „მაბეზღარი და საქმის შემხვანჯელი ისრისა საგნად (სამიზნოდ) სასაგნოთა (ისრის საგლინავში) მინა დასადებიაო“. აბა სად არის обвинитель-ი?

„**მარაგი** (სომხ.), ცა თხელის ღრუბლით შემოსილი იალქიალად“. ესეც თუ „სომხ.“ და თხელის ღრუბლით შემოსილია: ქილ. 216: „მარაგიანად ჩაუცმევიათ-ყე სამოსელი!“

„**მგლინარი,** ქვემძრომი, пресмыкающійся, ქილ. 216“. ეს სიტყვა ქილ-ში სხვა ადგილას ჩვენ ვერ მოვხელეთ, გარდა 177 კაბადონისა და იქ კი ასეა: „ქიქის ჯამთა ჯინჭველი ჩაიჭრა, ფერხთა მგლიხარსა“. მგლინარი (ინგ. ზგლუნი) არის ლიპი, скользкій. არსად ქვემძრომი!

„**მენაყოფე** ნერგი, ნაყოფ. ხე, плодоносный. წყობ. 71: „ათასის ვერცხლის მენაყოფე“, ე. ი. მექონი.

მიდარება (გამოტ.), შედარება, დარება. ქილ. 582: „მარგალიტი გაწყობილსა სიტყვასა არ მიედარება“.

მმართებლობა (გამოტ.). აქ საჭირო იყო საქართველოს მმართველობის ჩვენება: მეფე. დარბაზი ერისთავთერისთავი, ერისთავი, მოურავი, ხევისთავი, ხევისბერი, მამასახლისი.

„**მოკართვა** (გამოტ). ვისრამ. 17: „ვითა მოკართული ვირი“; იქვე გვ. 241: „ლამსა შიგან დაფლულსა მოკართულსა ვირსა დაემსგავსა. ვარიანტ. „დატვირთულსა“, მოკირთულსა“.

„**მუქასარი** (არაბ.), დანახევი, დახეული ადგილი, мѣсто расщелины, ვისრ. 105“. საბა: „მუქასარი ნიფხვის ტოტი ვისრამიანში“. ვისრ. 222: „ვენახშიგან ჩახდა, ფერხნი ორნივე იტკივნა, მუქასარი დახია“.

მყრელი (გამოტ.) მნიშვნელობა კი ძრავალი აქვს:

მყრელი: სპეკალთა მყრელი ენა ქილ. 580.

მყრელი. ამყრელი ტყავისა ანუ გამხდელი.

მყრელი, ამყრელი ხალხისა.

მყრელი, ჩამყრელი ხორბლისა, ფულისა და სხ.

მყრელი, ამომყრელი რისამე ორმოდგან, კასრიდამ, მიწიდამ და სხ.

მყრელი, წილისა, კოჭისა და სხ.

მყრელი, გამყრელი ძმისა ძმისაგან.

მყრელი, შემყრელი ხალხისა და სხ.

მყრელი, გამყრელი მტრისა, საქონლისა.

მყრელი, ცეცხლისა, ჯავრისა, წინწკლისა.

მყრელი, ნემსისა, მახათისა, ხირხლებისა.

მშტოვარი (გამოტოვებ.), მშტოობი მსტოვარი, დამხმარებელი, აგენტი*). ქილ. 444: „მისნი მშტოვარნი ყოველგან არიან“.

„**ნათხევარი,** დათხეული, დაღვრილი, пролитый“. შვენიერი მხარე სიტყვისა კი გამოტოვებულია, სახელდ. რწყევა, ნარწყევი. ქილ. 519: „ძაღლთა თუცა ოქროს საყელო შეაცვა, მისსავე ნათხევარს სჭამს“.

ინწუბა (გამოტ). იგავთაჲ 26,11; 2 პეტრე, 2,22: „ძაღლი მიექცა ნათხევარსა თვისსა და ღორი ინწუბა სანგორელსა მწვირისასა“. ქართლ. ცხოვრ., 241: „ძაღლი მიექცა ნათხევარსა და ღორი ინწუბა სანგორელსა მწვირისასა“.

პლუტი (გამოტ.) ქილ. 215: „სიცოცხლის სავარდეს ერთს პლუტსა ვერ ნახავ შემოდგომის ქარისაგან მოურყვნელსა“. რედაქტ. სიტყვით, პლუტი უნდა იყოს ნუგბარი, ახალი ხილი (?). იხმარება სადმე და რა მნიშვნელობით?

„**პაპა** ბერძ.“ მართლაც ბერძნულად—პაპას ანუ პაპპა—მამილო, პაპპოს პაპა, ბაბუა, (სვან. ბაბა) პაპპეპაპეპიპოს—პაპისპაპა. მაგრამ ამავე ძირისაა თათრ. **ბაბასი,** ბაბა—პაპა. ჯერ ნაადრევად გვგონია ამის ბერძნულობა, მით უმეტეს, რომ მეგრ. ბებერსა და პაპას ერთნაირად ჰქვიან ბა-დიდი.

პაიპაიპაი ანუ პაიპაი! (გამოტ.). გაკვირვებითი ბევრი: პაიპაი! ტოლია ბერძნულის „პაპაი“!

პური იხმარება იმავე მნიშვნელობით, ვით ბერძნული „პუროს“ (purus)—პური, „საჭმელი, სანოვაგე, მინდის პური.

რაულად (გამოტოვ): შოთა 446: „ვერა შევიგენ, რა იყო ანუ ნაქმარი რაულად“. რაგვარად, რანაირად.

(შემდეგი იქნება)

მ. ჯანაშვილი.

---

*) იხ. „სახ.გაზ.“ № 02.

*) დაბად. 42,11: მსტოვარი=ბერძ. ალექსანდრიული kataskodos — лазутчикъ, шпіонъ, соглядатай, разсматривающій, вывѣдывающій.

✦ კვირას 23 ენკენისთვეს, დილის 12 საათზე, გორის საკრებულო დარბაზში მოხდება **კრება გორის გამომცემელ ამხანაგობისა.** კრებაზე გარეშეთაც შეუძლიანთ დასწრება.

✦ გორის **საზოგადო საკრებულო** ამ დღეებში გადავა საზამთრო შენობაში.

✦ **სადგურ მეტეხზე** უკვე მიუღიათ სამინისტროდან ბილეთების გაცემის ნებართვა და ბილეთები უკვე იყიდება. სასურველია, რომ ბარგის მიღება შემოიღონ და ამით რკინის გზამ დააკმაყოფილოს მგზავრთა მოთხოვნილებანი.

✦ 23 ენკენისთვეს საღამოს 7 საათზე გორის ქალაქის თვით-მმართველობის დარბაზში მოხდება **კრება ქალაქის რწმუნებულებისა** განსახილველია შემდეგი საკითხები:

1. ხორცისა და პურის ნიხრის შეცვლა. 2. შემფასებელ კომისიის თავმჯდომარეთათვის სამი კანდიდატის არჩევნები. 3. ქალაქის მოურავის მოხსენება 1913 წ. ხიდების გასამართად საჭირო თანხის შესახებ. 4. გამორიცხვა საერთო ჯამიდამ ცეცხლის გამო დამწვარ, 1) ოთხ პროცენტიან სახელმწიფო რენტისა 200 მან. და 2) ფულად 250 მან. 5. ჯამაგირის დანიშვნა ქალაქის მომავალ მოურავისათვის. 6. მოხსენება შესახებ მომხდარ უთანხმოებისა ქალაქის სასაკლაოს გასუფთავების შესახებ მაზრის უფროსის განკარგულების გამო. 7. საჭირო თანხის გადადება ოქონის ეკლესიის გალავნის დასანგრევად და ახალი რკინის გალავნის გაკეთებისათვის და სხვა.

(„ქართლი“).

ქუთაისი.

✦ დღეს, საღამოს 7 საათზე, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში ქალთა წრის კრება დანიშნულია ზოგიერთი საკითხების გასარჩევად. კრებაზე დასასწრებად გამგეობა მოიწვევს ამ წრის წევრთა: კრებაზე შეუძლიანთ დაესწრონ არა წევრნიც, რომელნიც, წრეში ახლად მოისურვებენ შერიცხვას. კრებაზე სხვათა შორის გრ. რობაქიძე საუბარს გამართავს ქალთა საკითხზე.

✦ მსახიობი ალ. იმედაშვილი ამ სეზონს ქუთაისის დასში იმუშავებს. იგი მორიგ რეჟისორობასაც გასწევს, სეზონი 29 ენკენისთვეს დაიწყება.

✦ ზუგდიდში გავრცელებული ხმები, ვითომ ვლად. ალშიბაიას საქმე ბრალმდებელს მოესპოს, სიმართლეს მოკლებულია. ეს საქმე ჯერ კიდევ გამომძიებლის ხელშია.

✦ სენაკში თეოლინე კეკელიძისას გათხოვების დღიდან ოთხი თვის შემდეგ ბავში შესძენია. მასა და მის ქმარს ბავში ცოცხლად დაუმარხავთ. ეს ფაქტი ექიმებმაც დაამოწმეს. მშობლები დაიჭირეს.

✦ 17 სექტემბერს ქალაქის საბჭომ დაადგინა: ა) მილის წყლის კონცესიონერების ი. ი. დადიანისა და ა. ს. კანცელის მიერ წარმოდგენილი წყალსადენის ტეხნიკური პროექტი გადაეცეს განსახილველად სპეციალისტების კომისიას. რადგანაც ქუთაისში ამ საქმის სპეციალისტები არ არიან, მიენდოს ქალაქის მოურავს ტეხნიკური პროექტი ტფილისს წაიღოს და სპეციალისტებს გაასინჯვინოს; ბ) მოემატოს პირველი ხარისხის პურის ნიხრს ოყაზე ნახევარი კაპ., მეორე ხარისხისას 1 კაპ. და მესამე ხარისხისას ნახევარი კაპ. ამგვარად ფურნის პური უნდა იყიდებოდეს ოყა პირველი ხარისხისა 13 ნახევარი კაპ., მეორე ხარისხისა—12 კაპ. და მესამე ხარისხსა 10 ნახევარ კაპ. თორნის პური კი თითო კაპეიკით უფრო ძვირად უნდა იყიდებოდეს ოყა. მეპურეები ვალდებულნი არიან იქონიონ ნახევარი კაპეიკიანები, რომ მუშტარს ჩვეულებრივ ნახევარ კაპ. ნაცვლად მთელი კაპიკი არ ახდევინონ. გ) მომავალ 1913 წლისათვის გაწერილ იქმნეს მიკიტნებზე ეგრედწოდებული 13,010 მანეთი; დ) ქუთაისის საგუბერნიო მუშების დაზღვევის საქმეთა საკრებულოს წევრებად არჩეულ იქნენ: ა) ქალაქის საბჭოს წარმომადგენლებად გრიგოლ ი. გველესიანი, მის მოადგილეებად—დ. ლ. ქორქაშვილი და გრ. დ. ნასარიძე; მოხელე-მრეწველების მხრივ—ვ. ი. ჭილაძე და მ. ე. ლადიძე; მათ მოადგილეებად—ის. მესხი, ს. კირიშჩევი, ილ. ხაზარაძე და ალ. კოსტავა.

✦ „რადიუმში“ დაიწყო რაჭა-ლეჩხუმში აკაკის მოგზაურობის სურათების ჩვენება. სურათები კარგად არის გადაღებული. მშვენიერია ბარაკონის ფერხული და ონში შესვლა. სურათი 600 ადლია. („კოლ.“)

სოფლად

✦ **ს. ჯუგაანი** (ქიზიყი) 14 სექტემბერს ღამის ათ საათზე, სოფ. ჯუგაანში **ნიკო ამულაშვილმა** რამდენიმე ამხანაგით გაიტაცა ახალგაზრდა ქალი **მატრო გოგილაშვილი.**

სასამართლოში ქალმა განაცხადა; ვაჟი მიყვარდა და ჩემის სურვილით გავყევ.

✦ **ტფილისის მაზრა.** იორის ხიდთან, თავ. ლევან ჩერქეზიშვილის მამულში მებოსტნეებს მაშადი რასულ ოღლის და გულამ ზეინალ ოღლის ფულის გამო ჩხუბი მოუვიდათ; უკანასკნელმა დანით მოჰკლა რასულ ოღლი.

✦ **დუშეთის მაზრა.** სოფ. ფასანაურში ვაჭრის გიორგი ბექურის დუქნის წინ იპოვეს გვამი ხიზანა წიკლაურისა. მკვლელი ვერ აღმოაჩინეს.

✦ **თელავის მაზრა.** სოფ. ხორხელში უცნობმა ბოროტმოქმედებმა მოჰკლეს აქაური გლეხი იოსებ გავარდაშვილი.

არჩევნების გარშემო.

ქუთაისის წვრილი მემამულეების არჩევანი დაირღვა. ხელახალი არჩევანის დღე ჯერ არაა დანიშნული.

გორი. არჩევნები მეოთხე სათათბიროს რწმუნებულებისა გორში დანიშნულია 3 ოქტომბრისათვის.

20 ენკენისთვეს გორის სამხედრო საკრებულო დარბაზში დანიშნული იყო ამომრჩეველთა კრება მეჯვრისხევისა, ახალქალაქისა და ქვემოჭალის პირველ კურიის წვრილ მემამულეთა რწმუნებულის ასარჩევად, მაგრამ არც ერთი კაცი არ გამოცხადებულა. („ქართლი“)

დ. ჩხარი. 16 ენკენისთვეს აქაც მოხდა წვრილ მემამულეთა რწმუნებულების არჩევანი. 588 მემამულისაგან გამოცხადდა 53. აირჩიეს ცხრა რწმუნებული. 5 კიტა აბაშიძის მომხრეა და ოთხი—ვლ. მიქელაძისა. ამ დღეს ერთობ ცუდი დარი დადგა და იმას ამბობენ მიზეზად, რომ ასე ცოტა ხალხი გამოცხადდაო.

დ. ხორაგოული. წვრილი მემამულეების არჩევანი 19-ს ენკენისთვეს მოხდა. 611 მემამულისაგან მხოლოდ 19 გამოცხადდა. აირჩიეს ერთი რწმუნებული—კ. აბაშიძის მომხრე. კენჭი სამმა იყარა—ორი გააშვეს.

სოფ. ბუგეული (რაჭა) თოთხმეტ ენკენისთვეს ბუგეულის და ზნაკვის საზოგადოებამ ამოირჩია **ორი რწმუნებული,** რომელნიც ამბობენ, ისეთს კაცს მივცემთ ხმას, რომელიც ამოირჩევს დეპუტატად ნამდვილ ქართველს, რომ ილაპარაკოს სათათბიროში ქართველების სახელით და გააცნოს ქვეყანას ჩვენი ჭირ-ვარამიო.

მოსკოვის კანდიდატები.

პირველი კურიის კანდიდატებად ასახელებენ ჩელნოკოვს და ასტროვს, მეორე კურიის კანდიდატებად მაკლაკოვს და შჩეპკინს. ოქტომბრისტები ჯერ-ჯერობით გუჩკოვის კანდიდატურას ასახელებენ. ახლო მომავალში მოხდება კრება ოქტომბრისტების ცენტრალურ კომიტეტისა, საცა სხვა კანდიდატებსაც წამოაყენებენ.

კადეტების წინასწარი საარჩევნო კრება.

15 ენკენისთვეს მოხდა კადეტების მეორე საარჩევნო კრება. შინგარევი, როდიჩევი და მილიუკოვი ცხარე სიტყვებით ჰგმობენ მესამე სათათბიროს ცენტრის მოქმედებას. ამომრჩეველნი მათ სიტყვებს აღტაცებით ეგებებიან. ორატორების სპონენტად მხოლოდ სოკოლოვი გამოდის.

კუტლერმა თვისი კანდიდატურა მოხსნა.

პეტერბურგის მეორე კურიის კანდიდატებად მილიუკოვი, შინგარევი და როდიჩევი გამოდიან.

ბლოკი ესდეკებთან.

შრომის ჯგუფელები ბლოკით უერთდებიან სოციალ-დემოკრატებს, პეტერბურგის მეორე კურიის კანდიდატების დასამარცხებლად.

ბულატის გაშვება.

მემამულე ამომრჩევლების კრებაზე კოვნოს გუბერნიაში, მესამე სათათბიროს დეპუტატი ბულატი გააშვეს.

დავიწყებული მაკლაკოვი.

მაკლაკოვი ჩივის, რომ მოსკოვის ამომრჩეველთა სიაში იგი არ შეიტანეს. საბრალო მაკლაკოვი დაივიწყეს!

ჟურნალისტის დღიური

87.

უცნაური მოვლენა.

საზოგადოებრივ მიმართულებათა იდეიური ჩამოყალიბება და მით უფრო ორგანიზაციული შეკავშირება არც ისეთი ადვილი საქმეა, როგორც შეიძლება ბევრს ერთის შეხედვით ეგონოს, ამისათვის საჭიროა შესაფერი ობიექტიური პირობები და აზრთა სათანადო ევოლიუცია. დროთა ბრუნვამ ჩვენში მემარცხნე ელემენტები გააძლიერა. ორი უმთავრესი, ცოტად თუ ბევრად ერთნაირად გაწვრთნილი საზოგადოებრივი ჯგუფი თან და თან ვითარდებოდა და დღესაც ვითარდება, მიუხედავად იმისა, რომ წინ ბევრნაირი დამაბრკოლებელი მიზეზი ეღობება. ამ ორგვარ აზროვნებას ღრმად აქვს გამჯდარი ფესვები არა მარტო ინტელიგენტთა წრეებში, არამედ ფართო მასაშიაც. დღეს მიყრუებულ სოფლებშიაც კი გლეხი-კაცის აზროვნება ამ ორგვარ მიმართულების გარშემო ტრიალებს.

მიუხედავად ამისა, შემცდარი იქნება ის, ვინც იფიქრებს, თითქოს ყველა ან ერთს მიმართულებას ეკუთვნოდეს, ან მეორეს. პირ-იქით, არის დიდი ნაწილი ქართველ საზოგადოებისა, რომელსაც მემარცხნეთა აზროვნება მაჯლაჯუნასავით დასწოლია. ის ნაწილი მხოლოდ დროთა ბრუნვამ დაუკავშირა მემარცხნეთ; ეხლა უნდათ თავი გაინთავისუფლონ, უნდათ შექმნან ისეთი, იდეიურის სხივით გაშუქებული მიმდინარეობა, რომელიც უკეთესად იქნება შეფარდებული როგორც მათს სოციალურ მდგომარეობასთან, ისე საერთო სულიერს განწყობილებასთან.

ამნაირის მიმართულების შექმნას სცდილობდა ამ რამოდენისამე ხნის წინად კ. პ. თუმანიშვილი თავის ქართულ-რუსულს გაზეთებში, რომელნიც ცოტახნის უმიზნო ხეტიალის შემდეგ გონს მოვიდნენ. ამავე ჰანგებზე მღერის დღეს „ზაკ. რეჩ“-ში ბ-ნი აბისელი. დაახლოვებით ამასვე იმეორებს ახლად გამოსული ჟურნალი „კლდე“. არჩევნები დიდი პოლიტიკური მოვლენაა, და სწორედ ამ დროს იჩენს ხოლმე თავს უკმაყოფილება, თუ იგი არსებობს. არჩევნებმა თავ. ვლ. მიქელაძის მომხრე ჯგუფიც ამ ჰანგებზე აალაპარაკა. ეს ზომიერი ელემენტები მარტო სურვილის გამოთქმით არა კმაყოფილდებოდნენ. ამ რამოდენისამე წლის წინად პრაქტიკული ნაბიჯიც გადასდგეს და ჩვენმა ზომიერებმა ქართველ კადეტთა პარტიის დაარსებაც განიზრახეს. შეიყარნენ, პროგრამაც კი შეიმუშავეს, მაგრამ პროგრამა პროგრამად დარჩა, და „ზომიერნი“ მაინც ორგანიზაციულად ვერ შეკავშირდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ უკმაყოფილება საზოგადოების ერთს ნაწილში ცხადად ისმის, ზომიერნი მაინც ვერ შეკავშირებულან, ვერ გამოუნახიათ საერთო სამოქმედო გეგმა. რად უნდა იყოს ასე? თუ თავ. ვლ. მიქელაძე, აბისელი და „კლდის“ პუბლიცისტები ერთნაირად არიან დარწმუნებულნი იმაში, რომ ჩვენში ბოროტების მთესველნი მემარცხენენი არიან და საქართველოს ხსნა ზომიერებასა და „წვრილ საქმეთა“ ფილოსოფიაშია, რატომ ისინი ერთად არ უნდა იყვნენ, რატომ მეგობრული ხელი არ უნდა გაუწოდონ ერთმანეთს „წითელი საფრთხის“ წინააღმდეგ? ჩვენ ამას ვერა ვხედავთ. პირიქით, „კლდის“ პირველ ნომრის გამოსვლისთანავე ბ-ნი აბისელი დაეტაკა მათ, და, უნდა ვიფიქროთ, არც ეს უკანასკნელნი დარჩებიან ისე, რომ არ უპასუხონ.

რადა ჰხდება ასე? რატომ ვერა კავშირდებიან ჯგუფები, რომელთა შორის დიდი ნათესაობაა სულისა? იმიტომ, რომ ყველა ამ წრეებს ერთი რამ აკლიათ—პრინციპი. ზომიერების პოლიტიკასაც იდეიური და პრინციპიალური გაშუქება უნდა, იმისათვისაც საჭიროა თავისი საკუთარი იდეოლოგია. მხოლოდ უარყოფითი წერილებით არ შეიძლება საფუძველი ჩაეყაროს მიმდინარეობას. სოციალისტებისა და ინტერნაციონალისტების თეორიების დაწუნება არა კმარა იმისთვის, რომ შენ თითონ რაიმე საზოგადოებრივ ღირებულებად გადაიქცე. თუ „ზომიერების პოლიტიკა“ თეორიულად არ იქნება გაშუქებული და დასაბუთებული, იგი ხორცს ვერ შეისხამს და ვერც რაიმე როლს ითამაშებს ჩვენი ცხოვრების განვითარებაში.

სწორედ ამ სახელმძღვანელო აზრების უქონლობით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ერთნაირად მოაზროვნე ჯგუფები ვერა კავშირდებიან და ერთად ვერ გამოდიან სამოქმედოდ. ვიწრო ჯგუფობრივ ინტერესებზე აღმოცენებული უთანხმოებანი უფრო ძლიერია მათში, ვიდრე საერთო სახელმძღვანელო აზროვნება. პატარ-პატარა საქმეების გარშემო ატეხილი უთანხმოებანი იმდენად ძლიერნი არიან, რომ შეუძლებლადა ჰხდის მათს შეკავშირებას ერთს მთლიან საზოგადოებრივ მიმართულებად.

აი, ამიტომა ჰხდება, რომ ცალ-ცალკე არიან ისინი, ვინც ბუნებას ერთნაირად გაუჩენია, ერთნაირი აზროვნებითა და გრძნობებით დაუჯილდოვებია. ამისთანა პირობებში, სოციალისტებისა და მემარცხენეების მტერი ბევრი გაჩნდება, მაგრამ ზომიერთა შეკავშირებული ძალა მაინც ვერ შეიქმნება.

შინაური..

ტაგიევის წერილი

მ. ხ. გ. რედაქტორო!

7 ენკენისთვის ნომერში თქვენი პატივცემულ გაზეთისა (გოლოს მოსკვი) მოთავსებული იყო შენიშვნა, რომელშიაც აცხადებდით, რომ მე ვყიდი სამრეწველოს 4,600,000 მანეთად, და ვითომც ეს დაკავშირებული იყოს ჩემი საქმეების ლიკვიდაციასთან ბაქოში. ვითომც მე, ბებუთოვთან საქმის დაბოლოვებაზე დამოუკიდებლად ვტოვებ რუსეთის საზღვრებს და ოსმალეთში გადასახლებას ვაპირებ, საცა უკვე მამული შემიძენია. ქარხანის გაყიდვაზე მოგახსენებთ რომ თუ ვყიდი ან ვყიდულობ რამეს ამას მხოლოდ საკომერციო მოსაზრებით, რაც შეეხება ჩემ საქმეების ლიკვიდაციას და ოსმალეთში გადასახლებას, უნდა მოგახსენოთ, რომ ეს აზრი არა დროს არ მომსვლია და არც მომივა თავში. სამშობლოს ჩემს დღეში არ დავტოვებ და სიბერის დროს არ გადავსახლდები უცხო მხარეს. როგორც უნდა დაბოლოვდეს პროცესი ბებუთოვთან, (მჯერა, რომ ბოლოს სიმართლე მაინც გაიმარჯვებს) არ დავტოვებ სამშობლოს, სადაც დავიბადე და ამდენ ხანს ვიცხოვრე, საცა ვმუშაობდი სახელმწიფოს, სამშობლო მხარისა და ხალხის სასარგებლოდ. მიყვარს ჩემი სამშობლო და მუდამ იქ დავრჩები, გინდაც ამაზე უარესი ტანჯვა მომელოდეს. აქ არის სამარე მამიჩემისა, და აქვე უნდა იყოს ჩემი სამარეც.

დავშთები თქვენი პატივისმცემელი

გ. ზ. ა. ტაგიევი.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

21 ენკენისთვე.

საზღვარ-გარედ

ბალკანეთის კრიზისი.

სოფია. სახალხო კრება მოწვეული 22 ენკენისთვეს საგანგებო სესიით, სამხედრო წესების გამოცხადების დასამტკიცებლად.

პარიზი. ლონდონიდან იტყობინებიან: დიპლომატიურ წრეებში იმედოვნებენ, რომ დიდ სახელმწიფოებს ბოლგარეთზე, სერბიაზე, ჩერნოგორიაზე და საბერძნეთზე ზედგავლენით, შეუძლიან უთანხმოება დააშოშმინოსო. ავსტრიის და რუსეთის უთანხმოებას არ შეუძლიან მშვიდობიანობას ხელი შეუშალოს. მათი მორიგების იმედი არის. მაშინ ბალკანეთის კრიზისს მწვავე ხასიათი დაეკარგება.

ბერლინი. საჭიროა გაბათილება იმ ხმებისა, ვითომც რუსეთსა და ავსტრიის შორის რაიმე უთანხმოებაა ბალკანეთის საკითხის გამო. „ნორდ-დეიტჩე-ალგემეინე-ცეიტუნი“ ამბობს, რომ ავსტრია და რუსეთი შეთანხმებულად იმოქმედებენო.

ბელგრადი. გაზეთი „პოლიტიკა“ გვამცნევს: მინისტრთა საბჭოს კრებაზე განიხილეს კოლექტიური ნოტა ბალკანეთის სახელმწიფოებისა. ეს მოთხოვნილება გაეგზავნება პორტას. მაკედონიის და ძველი სერბიის სრული ავტონომიის მოთხოვნით. პასუხის ვადა სამი დღეა. თუ პასუხი არ იქმნა, მაშინ ბალკანეთის სახელმწიფოები ულტიმატუმს მისცემს ოსმალეთს. მომქმედ ჯარის უფროსად ინიშნება გენერალი პუტნიკი.

სტამბოლი. მობილიზაციის გამოცხადებას ხალხი მხიარულად მიეგება. სახლებზე ბაირაღებია გამოფენილი. გაზეთებში შოვინისტური წერილები იბეჭდება. პრესას იმედი აქვს, რომ სხვა სახელმწიფოთა ჩარევას შეუძლიან ომი თავიდან აიცილოს.

ბერლინი. „ნორდ-დეიტშე-ალგემეინე“ სწერს: ბალკანეთის სახელმწიფოებმა იმისთანა ზომებს მიჰმართეს, რაც ომის აუცილებლობას ჰნიშნავს. საჭიროა დიდ სახელმწიფოთა შეთანხმება, რათა ევროპა იხსნან ცეცხლისგან.

პარიზი. „ტანმა“ გამოაქვეყნი იზვოლსკის ცირკულიარი სახელმწიფოებთან მიმართული 12 მკათათვისა 1908 წლისა.

ცირკულიარში სჩანს, რომ თუ მაკედონიაში მდგომარეობა არა სასურველი იქნება, რეფორმები მაკედონიას უნდა წაერთვასო. ეს ცირკულიარი ყველა სახელმწიფოსგან მოწონებულა იყო.

ათინა. საბერძნეთის გემი დარდანელში შეიპყრეს. ოსმალეთის ასეთი მოქმედება ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს ათინაში.

რომი. იტალიის ელჩებმა სოფიაში, ბელგრადში, ათინაში, მიიღეს ინსტრუქცია—ურჩიონ ბალკანეთის სახელმწიფოებს დაიცვან მშვიდობიანობა და ზომიერებაო.

პარიზი. პუანკარემ ბალკანეთის სახელმწიფოების წარმომადგენლებს ურჩია მშვიდობიანობის განმტკიცება. პუანკარე დიდხანს ებაასა ინგლისის, იტალიის და რუსეთის ელჩებს. საგანი ბაასისა ბალკანეთის ამბები იყო.

სოფია. ქალაქი სამხედრო ბანაკს დაემსგავსა. ბავშვებსა და ბებრებს გარდა ყველა ჯარშია გაწვეული.

საავადმყოფოებში სოფლის ქალები მსახურებენ. მიუხედავად ნორმალურ ცხოვრების დარღვევისა, წესრიგი ჩინებულია. სამხედრო სამინისტრომ გამოსცა ბრძანება, რომ გაზეთებს შეუძლიან მიიღონ ცნობები მხოლოდ სამინისტროდან და შტაბიდანაო. აკრძალულია ისეთი წერილების წერა, რომელთაც შეუძლიანთ ცუდი გავლენა იქონიოს ჯარზე.

იტალიისა და ოსმალეთის ომი.

ბაზელი. შვეიცარიის სააგენტოს ატყობინებენ, რომ ახლო მომავალში ჩამოვარდება ზავი იტალიასა და ოსმალეთს შორისო.

რომი. სტეფანიის სააგენტო უარჰყოფს ცნობებს, ვითომც ზავის მოლაპარაკება დასრულებულ იყვესო.

გაფიცვა.

სერბერი. რკინის გზის მოსამსახურენი გაიფიცნენ. სადგურები ცარიელია.

რუსეთი

არჩევნები.

პეტერბურგი. პეტერბურგის სააგენტომ მიიღო ცნობები არჩევნების მიმდინარეობის თაობაზე რუსეთის იმპერიაში. წვრილ მემამულეთა და მღვდლების წინასწარ საარჩევნო კრებაზე რწმუნებულად აირჩიეს ასტარხანის გუბერნიაში 16 მღვდელი, ბესარაბიის გუბ.—76 მღვდელი და 12 წვრილი მემამულე, კელცის გუბ.—88 წვრილი მემამულე, ვიტებსკის გუბ.—83 მღვდელი, 34 წვრილი მემამულე, 2 მდაბიო მოქალაქე, 2 კსენდზი, 2 გლეხი, 1 გერმანელი, 1 აზნაური. ვლადიმირის გუბ.—170 მღვდელი, 10 აზნაური, 4 ვაჭარი, 6 შთამომავლობით მოქალაქე, 2 მდაბიო მოქალაქე; ვოლოგდის გუბ. 117 მღვდელი, ვორონეჟის გუბ.—215 მღვდელი, 10 მემამულე, 3 აზნაური; ვიატსკის გუბ.—48 მღვ. ეკატერინოსლავის გუბ,—215 მღვ. 2 მემამულე; კალუგის გუბ.—143 მღვ., 28 მემამულე; კიევის გუბ.—477 მღვ., 36 წვრილი მემამულე, ამათში ორი მესამე სათათბიროს დეპუტატია; კოვნოს გუბ.—17 კსენდზი, 25 აზნაური, 13 გლეხი, 1 ექიმი; კურსკის გუბ.—301 მღვდელი, 46 მემამულე; გააშავეს მესამე სათათბიროს დეპუტატი ლუკინი. ლიფლიანდის გუბ.—1 აზნაური. მინსკის გუბ.—181 მღვ., 8 მემამულე, 6 მოხელე, 5 გლეხი; მოგილევსკის გუბ.—112 მღვ., 46 აზნაური, 10 წვრ. მემამ., 8 გლეხი; მოსკოვის გუბ.—22 გლეხი, 12 მდაბიო მოქალაქე, 6 საპატიო მოქალაქე, 12 აზნაური, 3 პროფესორი, 2 ბუღალტერი, 2 ვექილი, 2 ექიმი, 1 მოსამართლე, 1 საპატიო მოსამართლე, 1 ერობის უფროსი, 2 მემამულე, 1 მეტყევე, 1 გაზეთის გამომცემელი; ნიჟეგოროდის გუბ.—141 მღვდელი, 11 წვრილი მემამულე; ნოვგოროდის გუბ.—117 მღვ. 14 წვ. მემ. ორენბურგის გუბ.—93 მღვ., პენზის გუბ.—142 მღვ. და 17 მემამულე. პოდოლსკის გუბ.—399 მღვ., და ოთხი მემამულე; პოლტავის გუბ.—208 მღვ., 60 წვრ. მემ.; რიაზანის გუბ.—244 მღვ., 14 აზნაური, 12 მოხელე, 4 ვაჭარი, 2 მდაბიო მოქალაქე, 1 გლეხი. სარატოვის გუბ.—15 აზნაური, 6 მდაბიო მოქალაქე, 1 საპატიო მოქალაქე, 1 ვაჭარი. სტავროპოლის გუბ.—23 მღვ.. ტავრიდის გუბ.—48 მღვ., 43 თათარი, 10 გერმანელი, 6 წვ. მემ. 3 მოსახლე, 3 მდაბიო მოქალაქე, 1 გლეხი. ტულის გუბ.—13 აზნაური, 3 წვ. მემ., 2 გლეხი, 1 კერძო ვექილი, 1 მოხელე, 1 მდაბიო მოქალაქე, 229 მღვ., უფის გუბერნიაში—21 მღვ., 7 მუსულმანი, 5 მემამულე, 4 ვაჭარი, 2 ექიმი. 1 ნაფიცი ვექილი, 1 აზნაური, 1 მდ. მოქალ. ხერსონის გუბ.—5 წვრ, მემ., ჩერნომორის გუბ.—3 აზნაური, 1 საპატიო მოქალაქე, 1 მოხელე; იაროსლავის გუბ.—149 მღვ., 3 აზნაური, 4 ვაჭარი, 1 მემამულე; კავკასიაში, ყუბანის ოლქში—87 მღვ., 128 მემამულე. თერგის ოლქში—1 ყაზახი, 2 ლეკი. ლიუბლინის გუბ.—42 წვრილი მემამულე, 17 გლეხი, 4 კსენდზი. კელეცის გუბ.—60 გლეხი, 7 კსენდზი; სედლეცის გუბ.—109 გლეხი, 26 ბლიახტელი, 2 კსენდზი. სუვალის გუბ.—314 წვრ. მესაკუთრე, 4 კსენდზი.

კოკოვცევი კავკასიაში.

კისლოვოდსკი. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მოვიდა.

სოხუმის ეპარქიის გამოყოფა.

პეტერბურგი. საეკლესიო კრების წინასწარმა სხდომამ გამოსთქვა სოხუმის ეპარქიის გამოყოფის სურვილი, საქართველოს საეგზარხოსოდან.

თეატრი და ხელოვნება

„მთის ზღაპარი“

დრამა 3 მოქ. ნ. შიუკაშვილისა

ქართული თეატრი. ძნელად სავლელი და შიშის ამძვრელია კავკასიის მთები, რომელიც მიწის გულიდან ცად აზიდულა საშინელს, თვალ-უწვდენელ სიმაღლემდე და იქ, სადაც აღარ ისმის ქვეყნის ჩოჩქოლი და ამაოება, მედიდურად და თავმომწონედ შეჩერებულა. მის მყუდროებას მხოლოდ და არღვევს ღმუილი დამფრთხალ ნადირისა და ფრთის მძლავრი მოქნევა არწივისა, რომელიც მის მწვერვალს ხანდახან ელვის სისწრაფით გადაუვლის ხოლმე.

გავიდა დრო და ხანი და ბევრიც რამ გამოიცვალა. სწორედ იმ მწვერვალზე, რომლისთვისაც კაცს უწინ თვალი არ გაესწორებინა, აღიმართა მშვენიერი კოშკი, სადაც ამ ჟამად მოხუცი თავადი ყაფლან ჯამბურაძე სცხოვრობს თავისის ქალ-ვაჟით და გამდელით. ქალს მელო ჰქვიან. ვაჟს—ზალიკო.

მელო გათხოვილია ქართველ აფიცერზე. ქმარი ქალაქშია. თვითონ კი საზაფხულოდ მამის ოჯახში მოსულა. ზალიკო ჯერ კიდევ პატარა, 15—16 წლისაა.

მთელი ოჯახი საშინელს უბედურებისა და შიშის ზარს განიცდის ამ კოშკში და მიზეზი შემდეგია:

ყაფლან ჯამბურაძეს ახალგაზრდობისას მოეწონა მშვენიერი ასული, სხვისი ტრფიალი და სატრფო, მოიტაცა იგი და აქ მოიყვანა ცოლად. ყაფლანის ცოლი ორის შვილის—მელოსი და ზალიკოს—დედა გახდა, მაგრამ ძველი სატრფო ვერც ახლა დაევიწყებინა. ქალის ღრმა სიყვარული ვერ ამოეშალა გულიდან ვერც ძველს სატრფოს, რომელიც ერთს დღეს გლახის სახით, გლახის სამოსელში, მოდის კოშკში და ორს დღეს რჩება, რათა თავის დიდის ხნის ტანჯვის ჯილდოდ ერთხელ კიდევ შესვას ქალის ალერსი. ყაფლანს ეს ამბავი არ გამოეპარება. კაცს ხანჯლით აჰკუწავს, ხოლო ცოლს ცოცხლივ გადაისვრის მთის მწვერვალიდან ძირს, საშიშ უფსკრულში. ქალი ძირამდე ვერ მიაღწევს და გზაზე, მთის შუა წელზე კლდის ქიმს მოედება და შეჩერდება. ქალი იქ სამუდამოდ რჩება მისი და დასაფლავება შეუძლებელი ხდება, რადგანაც იქამდე ჩასვლას ვერავინა ჰბედავს.

ამ დღიდან ხშირ-ხშირად უფსკრულიდან ქალის კვნესა და კივილი ისმის; ეს შესაზარი ხმა ნადირთ აფრთხობს და სულის მშვიდობას უკარგავს თვით ყაფლანსა და მის ოჯახსა, ვიდრე არ გამოჩნდება ერთი მამაცი თუში, რომელიც ჩავა უფსკრულში, ქალს მიწას მიაყრის და ზედ ჯვარს აღმართავს. ამ დღიდან ქალის კვნესა აღარ ისმის და ყველანი, ყაფლანი, მისი ოჯახობა და სხვანიც, მოისვენებენ.

გადის დრო. ბუნება ჩვეულებრივ თავის მეჯლისს ეწევა. კავკასიის მთას სხვა ქარი, გრიგალი წამოუქროლებს და მისი მედგარი ფრთა ერთის დაკვრით წააქცევს ქალის საფლავზე აღმართულ ჯვარსა. ამ დღიდან კვლავ ისმის ქალის კივილი და სასოწარკვეთილება გაჰეფდება.

ამ დღეშია ყაფლანის ოჯახი, როდესაც ერთს დღეს მისი ქალ-ვაჟი გასასეირნებლად კოშკიდან წამოვლენ. ზალიკოს ცხენი დაუფრთხება, გადმოვარდება და უზანგში ფეხი დარჩება. ცხენი მიათრევს ბავშვს. უკან საზარელ ტირილით მისდევს და. იღბლად მახლობლად გამოჩნდება ყაფლანთან საქმეზე მიმავალი სამი თუში. ესენი ცხენს დაიჭერენ და

ერთი თუშთაგანი, რომელიც ექიმი აღმოჩნდება, ბავშვს სამკურნალო დახმარებას აღმოუჩენს.

თავადი ყაფლანი ექიმს ლეონ ბუქურაულს თავისთან სტოვებს ბავშვის სამკურნალოდ, ხოლო დანარჩენ ორს თუშს საქმეს უკეთებს და ისტუმრებს.

ლეონი ყაფლანის სახლში ბავშვის მორჩენამდე დარჩა. ბავშვი სრულიად განიკურნა. დროა ლეონის სახლში წასვლისა, მაგრამ ამ ჟამად ეს უკვე მოუხერხებელია, რადგანაც ყაფლანის ქალის მელოს სიყვარული იმდენად ძლიერად აღიბეჭდა მის გულში, რომ წასვლის განზრახვაზე ხელი სამუდამოდ და გადაჭრით აალებინა. ასეთსავე ძლიერს სატრფიალო გრძნობას უკმევს მელო ექიმს. გულის საიდუმლო მათ უკვე გამჟღავნებული აქვთ ერთმანეთისთვის და სიყვარულის დამათრობელს ნექტარს ყაფლანის ფარულად ჰგემობენ.

ღრმა სიყვარულის დასამტკიცებლად და თავის ვაჟკაცობის გამოსაჩენად ერთს დღეს ლეონი სატრფოს მკერდს უცებ მოსწყდება, მელოსავე თვალწინ უფსკრულში ჩაეშვება და მისის დედის საფლავზე კვლავ აღმართავს წაქცეულს ჯვარსა.

ოჯახი მოისვენებს. ქალის კივილი და კვნესა მიყუჩდება და გრძელის ტანჯვით საშინლად მოღალულს მელოს შეძლება ეძლევა, მხოლოდ ნაზ და ძლიერ სიყვარულს დაეწაფოს თავშეუკავებლადა და უდარდელად. ასეთსავე გრძნობით უპასუხებს ლეონიც.

ერთის შეხედვით, მათი ბედნიერების დარღვევა ყოვლად შეუძლებელი და არის. ლეონი სასურველი და ძვირფასი კაცია არა მარტო მელოსათვის. იგი შეუყვარდა ყაფლანსაც, რომლის შვილიც სიკვდილს გადაარჩინა და თვით უმანკო ზალიკოსაც.

— ზალიკო! ამ ექიმს მადლობის ნაშნად შენს ადგილას დას ვაჩუქებდი, გათხოვილი რომ არ იყოს,—ამბობს ყაფლანი.

— მამა! მოდი მელო ქმარს გავყაროთ და ლეონს შევრთოთ,—ბავშვურის გულუბრყვილობით უმატებს ზალიკო, რომელსაც ყაფლანი უცებ გააჩუმებს და სიცილი წასკდება.

დიახ, ტკბილი და უდარდელი იყო შეყვარებულთა ცხოვრება და სრულიად ვერ გრძნობდნენ, რომ კლდის ის ნაპრალი, სადაც ისინი, ტრფობის ისარ განაწონნი, ერთ-ურთის ალერსში სტკბებოდნენ, ჩქარა უნდა მოსწყვეტოდა მთის მწვერვალს და უზომო ბედნიერებით მთვრალნი ტრფიალნი ძირს, უფსკრულში უნდა ჩაეჩეხა.

ასეც მოხდა. სრულიად მოულოდნელად მელოს ქმარი ქალაქიდან დაბრუნდა. შეყვარებულთ მხოლოდ ახლა იგრძნეს მთელი საშინელება თავის მდგომარეობისა და იქიდან გამოსასვლელ გზად ლეომ ერთად გაქცევა არჩია. მელოც დაეთანხმა, მაგრამ მის განხორციელება ვერ შესძლო. არ ეყო ამისთვის ძალა, ნების ყოფა. იგი საშინელს ცეცხლს განიცდიდა: ლეოს დათმობა არას გზით არ სურდა, მასთან გაქცევაც ვერ მოეხერხებინა.

აღსრულდა. სულით მოღლილი მელო, რომელსაც ბრძოლის იარაღი უკვე წართმეული ჰქონდა, ქმარს საწოლში შეჰყვა.

ჯოჯოხეთურმა ტანჯვამ მოიცვა ლეონი, როდესაც ნახა, რომ მისი უძვირფასესი საუნჯე ასე კადნიერად სხვამ მიისაკუთრა და ხვევნა ალერსი დაიწყო. ლეონის თავში ათასი ფიქრი ტრიალებდა და აი უცებ გაუელვა საშინელმა შურის ძიებამ: სწრაფად გადიძრო ზედა-ტანსაცმელი და უფსკრულში ჩაეშვა, რათა წაექცია მელოს დედის საფლავზე აღმართული ჯვარი და მოღალატეთა ოთახში კვლავ შიში და ვაება გაემეფებინა. ეს შენიშნა მოსამსახურე გოგომ და მთელი ოჯახი ფეხზე დადგა, მაგრამ გვიანღა იყო: შურის ძიებით ანთებული ლეონი უფსკრულში მხნედ მიესწრაფებოდა. მელო სხვებთან ერთად ჩასცქეროდა უფსკრულს და სასოწარკვეთილებას ეძლეოდა. აგერ მივიდა ლეონი საფლავთან, წააქცია ჯვარი და შემდეგ გაბედულად გადაეშვა უფსკრულში და დაიღუპა. ამის დამნახავი მელოც გაჰყვა ლეონის მაგალითს და უფსკრულში ჩაინთქა.

ასეთია მოკლედ შინაარსი ნ. შიუკაშვილის ახალ დრამის „მთის ზღაპარი“-სა, რომელიც ქართულს თეატრში ხუთშაბათს, 20 სექტემბერს წარმოადგინეს.

ამ პიესის ავ-კარგის სისწორით აწონ-დაწონვა, ჩვენის აზრით, მხოლოდ მისის წაკითხვის შემდეგ არის შესაძლებელი, მით უფრო, რომ იგი ხუთშაბათს არ იყო ისე კარგად დადგმული და წარმოდგენილი, როგორც იმედი გვქონდა რეჟისორისა და ჩვენის მსახიობებისა. ამ ჟამად პიესაზე ვიტყვით მხოლოდ შემდეგს: პირველი ორი მოქმედება რაღაც ერთგვარ გამოურკვეველ მდგომარეობაში აგდებს კაცს. რადგანაც შეუსაბამო სიმბოლიური ელფერი დაჰკრავს, ხოლო მესამე მოქმედება საკმაოდ ძლიერია ფერადების სიმრავლისა და ტეხნიკის მხრივ და აღარც ზემოხსენებულის სიმბოლიზმის ნასახი ამჩნევია.

გადავალთ მოთამაშეებზე.

ვ. გუნია კარგი ყაფლან ჯამბურაძე იყო. ამას მეტს ვერას დავუმატებთ.

ქ-ნი თ. გოგოლაშვილი საინტერესო მელო იყო. ვერ ვიტყვით, რომ მას საკმარისად ემუშავოს ამ როლზე და სრულიად დამთავრებული ტიპი მოეცეს, მაგრამ მაინც კარგად გადმოგვცა ბევრი თვისება დაჩაგრულ, მოღლილ და კეთილშობილ და ნებისყოფის მოკლებულ მელოსი, რომლისთვისაც მზე ერთხელ ცხადად ამობრწყინდა, რათა ჩქარავე სამუდამოდ ჩასულიყო. ზოგჯერ, იშვიათად კი, მსახიობ-ქალს არა ბუნებრივობა ეტყობოდა. საერთოდ იგი კარგი მელო იყო და თუ ჩვენ კმაყოფილი არა ვართ, მხოლოდ იმიტომ, რომ მისს ნიჭს უკედ შეეძლიან მელოს გაპიროვნება სცენაზე.

მელოს ქმრის, მოქეიფე და ფუქსავატ სანდრო ჯორბინაძის როლი ზედგამოჭრილი გამოდგა დ. მგალობლიშვილისთვის.

თუშის ექიმის ლეონ ბუქურაულის როლი ი. ზარდალიშვილისთვის სრულიად შეუფერებელი გამოდგა. ლეონის გასაპიროვნებლად მსახიობს ბევრი რამ აკლდა: ხმა, შესახედაობა, გამომეტყველება და რამდენიმე, როლის შეუგნებლობა. უკანასკნელი მოვლენა ალბად დროს უქონლობით აიხსნება.

დანარჩენი მსახიობნი ქ-ნნი: ე. ჩერქეზიშვილი, ლოლუა და ა. შოთაძე და ბ-ნნი: ნ. ციციშვილი, დ. აბდუშელი, ვ. მატარაძე, ა. ალექსიძე და ი. ჟივიძე ანსამბლის მთლიანობას ხელს უწყობდნენ.

ყურადღება გვინდა მივაქციოთ ახალგაზრდა მსახიობს მ. სარაულს, რომელსაც შვენიერი სასცენო ხმა აღმოაჩნდა. მან კარგად შეასრულა თუშის ფოცხვერას როლი.

რაც შეეხება რეჟისურას, ამაზე შემდეგ.

ს.—ძე.

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კურდღელაშვილი.

განცხადებანი

პეტერბურგის კონსერვატორიაში სწავლა-დამთავრებული, თავისუფალი ხელოვანი

ე. გ. ქიქოძისა
აძლევს მუსიკის (როიალი)
გაკვეთილებს.

სვიატოპოლკ-მირსკის ქუჩა, № 11.
(23.651.15)

ვკისრულობ:

1. დაგირავებას და გადაგირავებას უძრავ მამულებისას როგორც ქალაქებში, აგრედვე სოფლებში.
2. უძრავ ქონებათა სყიდვა-გაყიდვას.
3. მადნეულობის გამოკვლევას და დამუშავებას.
4. ყოველგვარ არზების და პირობის ქაღალდის შედგენას.
5. ხე-ტყის მასალის მყიდველის და გამყიდველის შოვნას. მთხოვნელებს ვიღებ ყოველ დღე გარდა კვირისა და უქმე დღეებისა, დილის თერთმეტის ნახევრიდან 12 საათამდე და საღამოთი ექვსიდან 7 ს.-მდე. **ბინა: ქ. ტფილისი, გოლ. პროსპ.**, სახლი **ჩანთაშევისა**, სასტუმრო „უნივერსალი“, № 2, ტელეფონი № 499. **იოსებ კირილეს ძე რაზმაძე** (25—1496—10)

სუსუნატის წინააღმდეგ ახალი წამალი
„SALO—პიჩილინი“

სწრაფად და საფუძვლიანად ჰმოქმედობს და ექიმთა აზრით გონივრულ საშუალებად ითვლება. დარიგება კოლოფშივე მევს. ნამდვილი მხოლოდ ლითონის კოლოფითაა. ცალი 1 მ. და 80 კაპ.

მოქმედობს კარგად ამ სენის გამწვავებისა და ქრონიკულად გამოჩენის დროს და სულ მოკლე ხანში შეუწყვეტელ დენასაც აჩერებს.

დეპო: Петербургъ, разъѣжжая, № 7 аптека Г. Конгейма. იგზავნება ფოსდადებით. გასაგზანი ფოსტის ტარიფის მიხედვით. არის აფთიაქებში. ნარდად საავთიაქო საწყობებში. Метцль 23672.
(წ.1161.23)

გამოსულია და იყიდება
ი. გედევანიშვილის პიესა
„გ ა მ ც ე მ ი“
დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

◆ გამოსულია და იყიდება ◆
ნ. შიუკაშვილის
პიესა **„მემობრობა“**, დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

გამოსულია და იყიდება
არჩილ ჯორჯაძის
თხზულებანი:

I ტ.	„ეროვნულ პრობლემის გარშემო“ ფასი	75 კ.
II „	„ჩვენი საზოგადოებრივობა	80 „
III „	„ნააზრევი“	65 „
IV „	წერილები „ცნობის ფურც.“-„მოამბ.“ 1901—1902 წ.	85 კ.

მივიღეთ მარიამობისთვის
შვედური და დელიკატესნი კილკები.

თევზის მრეწველნი
ძმ.
ძებელოვები.
პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.
ტელეფონი № 712.

ბოჭკის საუკეთესო
ხიზილალა,
გირვანქა 1 მ. 60 კ.
აგრედვე მოგვდის ცოცხალი **ლოქო**
და **კობრი**, საზანი.

(წ.1131.258)

ცინკოგრაფია
ქართველთა გამომცემელ ამხანაგობისა კისრულობს ყოველგვარ
კლიშეების დამზადებას.
საქმეს ასრულებს დროზე სუფთად და ხელმისაწვდენ ფასად.
ტფილისი, ვანქის დიდი ქუჩა, № 12. (თ.—1307.37)

1912 წ. მიიღება ხელის მოწერა
დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ
„ნაკადულ“-ზე
✦ **წელიწადი მერვე.** ✦

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით და საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით, მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:
24 წიგნი „ნაკადულისა“ მცირე წლოვანთათვის; **12** წიგნი „ნაკადულისა“ მოზრდილთათვის.
საჩუქრად მიეცემათ წლიურ ხელის მომწერლებს
დასურათებული 120-ზე მეტი ორიგინალური იგავ-არაკი ალ. მირიანაშვილისა.

ფასი ჟურნალისა; წლიურად ორივე გამოცემა 5 მან., ნახევარ წლით—3 მან. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—3 მან. მოზრდილთათვის 12 წ. 3 მ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილების სახ. Готовинскій просп. д. № 8 და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში. **ქუთაისში:** ისიდორე კვიცარიძესთან, თ. მთავრიშვილთან, მარიამ ყაუხჩიშვილთან და „ნაკადულის“ აგენტებთან; **სამტრედიაში**—ივანე გლადკოვთან, **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან, **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და ტრაფიმ ინასარიძესთან, **დ. ხონში**—ეკატერინე ვასილიასულ ბახტაძესთან, **ოზურგეთში**—ლეო იმნაძესთან, **თელავში**—ვანო პაატაშვილთან, **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან, **ბაქოში**—ვასილ ახვლედიანთან და ივანე ელიაშვილთან, **გორში** ნინო ლომაურთან და ქ-ნ ჯავახიშვილთან, **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან, **ჭიათურაში**—ივანე გომელაურთან, **განჯაში** ბ. ამბოქაძესთან და **ერევანში** კ. ოდიშარიასთან. **ყარსში**—ფერშალ ვანო საათაშვილთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.**
(წ.—1393—106 წ.) გამომცემელი **თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.**

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.
დ ი ლ ი თ:
„**606**“—11—12 ს. შეშხაპუნება
კონსულტაციურად.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. ავახსაროვი: 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.
კ. მ. ჩიქოვანი: $9\frac{1}{2}$—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. აგეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი** 1—2 ს, სიბებიო დ. ქალების ავადმ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:
მ. გ. აგეტისიანცი; 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
(წ. 1078.218)

ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში
იყიდება შემდეგი სახელმძღვანელოები:

ჩვენი მწერლობა, (მგოსნები), ს. გორგაძე . . . ფასი	50 კ.
გუთანი, ოჯახში და სკოლაში საკითხავი	85 „
მოძრავი ანბანი—კარდონზე	30 „
ანბანი კუბიკებზე . .	1 მ.—
წყარო, ა. ქუთათ. მოსამზადებ. კლ, II, ...	50 „
წყარო, იმსივე, ანბანი და პირველ საკითხავი . . .	25 „
არითმეტიკული კრებული ხრამელაშვილისა I, ყდით .	40 „
იგივე ნაწილი II, ყდით .	50 „
მოკლე სახელმძღვანელო საზოგად. გეოგრაფ.—აზია, აფრიკა, ამერიკა და ავსტრალია	35 „
მოკლე სახელმძღვ. საზოგად. გეოგრაფიისა, ევროპა . .	35 „
მოკლე საუბრები, თუ როგორ უნდა ისწავლებოდეს პირ.-დაწყებ. კარი გეოგრაფ. ალ. ჭიჭ.	20 „
ფიზიკური გეოგრაფია . .	20 „
ქართ. წმინდანები, სასულიერ. სასწავლებლებისთვის იოსელ.	50 „
ყუბანეიშვილი. პირ.-დაწყ. სწავლება სალვთო სჯულზე, ყდ.	30 „
ახალი აღთქ. საღმ. ისტ., მისივე	40 „
ძველ. აღქმ. საღმ. ისტ. მისივე	50 „
ქართ. წერ. რვეულ. წ. კ. გამოცემა წყვილი	5 „
ათასამდე ყოველი ასის ფასი	2 მ. 40 „
ათასზე მეტი ყოველი ასი	2 მ. 30 კ.

ადრესი: Тифлисъ, О-во распр. Гр. ср. гр. насел. (წ. 1141.128)

ევროპა

ე. ა. ცატუროვის
დეპოში
მიღებულია დიდძალი ნაირ-ნაირი შპალიერი, ახალ სახიანი
რუსეთისა და საზღვარგარეთის
საუკეთესო ქარხნებისა.
ფასები 8 კ—დან თოფი (სრულ ზომიანი) აუარებელ ხარისხისა.
ნიმუშებს ვგზავნით პირველ მოთხოვნილებისათანავე.
ტფილისი, სასახლის ქუჩა, ტელეფონი № 238.
(40—1400—24)

სათათბიროს არჩევნები
ტფილისის ქალაქის გამგეობა

საყოველთაოდ იუწყება, რომ ტფილისისა და ბორჩალოს მაზრის ქალაქის ამომრჩეველთა კრება **რუსთა კურიისა დანიშნულია სექტემბრის 26, ხოლო ადგილობრივ მკვიდრთათვის 3 ოქტომბერს.**

რუსთა კურიის არჩევნები მოხდება ზუბალაშვილის სახალხო სახლში (კიროჩნის ქუჩა).

საერთო კურიის პირველ განყოფილებისა (1, 2, 11 და 12 საპოლიციო უბან. ტფილისისა) და ქალ. ტფილისისა და ბორჩალოს მაზრის ამომრჩეველთათვის—ქალაქის შრომის ბირჟის დარბაზში, ვერის მოედანზე.

მეორე განყოფილებისა (10, 9, 8 და 7 საპოლიციო უბნისა) ზუბალაშვილის სახალხო სახლში.

მესამე განყოფილებისა (6, 5, 4 და 3 საპოლიციო უბანი ქ. ტფილისისა) ქალაქის გამგეობის დარბაზში, ერევნის მოედანზე.

პირველ განყოფილების კრებამ უნდა აირჩიოს ორი ამომრჩეველი, მეორემა და მესამემ—სამ-სამი, ხოლო რუსთა კურიამ—ცამეტი. შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ 1912 წ. 19 აგვისტოს გამოცემულ ინსტრუქციის ძალით, საარჩევნო ბარათები უნდა წარმოადგენდეს ჩვეულებრივ ზომას ერთსა ან ნახევარ თაბახს (ასარჩევ რწმუნებულთა რაოდენობის მიხედვით) თეთრ საწერ ქაღალდისას, რუსულად დაწერილს.

საარჩევნო ბარათებში აღნიშნული უნდა იყოს გვარი, სახელი და მამის სახელი იმისა, ვისაც ამომრჩეველი თავის ხმას აძლევს, და აგრეთვე წოდება და ბინადრობა, როგორც შეტანილ არიან საარჩევნო სიებში. საარჩევნო ბარათში არავითარი ნიშნები, შენიშვნები, გადასწორებული რამ, ან ამოფხეკილი არც დაწერილსა და არც დაუწერავ პირზე არ უნდა იყოს. ის ბარათები, რომელიც ზემოხსენებულ მოთხოვნილებას არ დააკმაყოფილებს, ძალასა ჰკარგავს. ზემოხსენებული ცნობები საარჩევნო ბარათში ამომრჩევლის სურვილისამებრ შეიტანება ხელით, ბეჭვდით, ლიტოგრაფიულად და სხვა, ხოლო უნდა იყოს დაწერილი გარკვევით და ნათლად.

საარჩევნო ბარათები, კონვერტში ჩადებული, ქალაქის გამგეობას წარედგინება, კონვერტი დაიბეჭდება ზედ წასმულ წებოთი და არა რაიმე ბეჭდით. კონვერტში მხოლოდ ერთი საარჩევნო ბარათი უნდა იდოს.

თუ რაიმე მიზეზისა გამო, რომელიმე ამომრჩეველმა პირადი განცხადება და საარჩევნო ბარათებისათვის კონვერტი არ მიიღო, შეუძლიან მიიღოს იგი ქალაქის გამგეობაში, ხოლო წარადგენს პიროვნების შემმოწმებელ საბუთს, პოლიციისა, მომრიგებელ მოსამართლისა, ნოტარიუსისა თუ მთავრობის მიერ მიცემულს, აგრეთვე საზოგადოებრივ და წოდებრივ დაწესებულებისას, სადაც იგი მსახურობს. (2.1510.2)

ამ დღეებში გამოვიდა გასასყიდად
ახლად ჩაწერილი გრამოფონის
ფირფიტები
მრავალი ახალი: ქართულ, სომხურ თათრულ და რუსულ ენაზე
შესრულებული საუკეთესო არტისტების მიერ.

ОБЩЕСТВО ГРАММОФОНЪ СЪ ОГР. ОТВ.

TRADE MARK ПИШУЩІЙ АМУРЪ
ОСТЕРЕГАЙТЕСЬ TRADE MARK ПОДДѢЛОКЪ

მოიკითხეთ უფასო კატალოგები
ტფილისი, გოლოვინის პრ., 9.
სამხედრო ტაძრის პირდაპირ.
(3—1512—1)

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, № 12 სტამბა „შრომა“.